პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის,

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთისა 48-ე წელი | № 251 (13943) | ოთხშაბათი, 25 ოქტომბერი, 1967 წ. | ფასი 2 კაპ.

# საპოჭტომბრო ვასტფეტ საბჭოთა საქართველოში

ოზურგეთის რაიონის სოფელ ბესლახუნის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობა დაჯილდოებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრკ მინისტრთა საბჭოსა და საბჭოთა კავშირის პროფესიულ კავშირთა ცენტრალური საბჭოს სამახსოვრო დროშით.

სურათზე: კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი შუანგი ბუსუბერია.

ფოტო ს. კოროტკოვისა.

## საიუბილეო შემოდგომა

**ПРАВДА**

24 ოქტომბრის მოწინავე

ოქრომ შემოდგომა დგას. დასასრულს უახლოვდება ალოობა მინდვრებში. სახეიმოდ ირთვება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების დიბების ჯუჩები. სოფლის მშრომელები, ამთავრებენ ან სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებს, აჯამებენ საიუბილეო წლის პირველ შედეგებს. საბჭოთა სახელმწიფოს 50 წლისთავის იუბილეს მიწათმოქმედნი და მეცხოველენი შესანიშნავი მიღწევებით ხვდებიან.

თვალი გადაავლეთ გაზეთების პირველ გვერდებს. პატაკების მოკლე სტრიქონები გაგაცნობენ, რომ ახალი წარმატებანი მოიპოვეს მხარეებმა, ოლქებმა და რეპუბლიკებმა, ვადამდე გაანადღეს სახელმწიფოსათვის სოფლის მეურნეობის პროდუქტების მიყიდვის გეგმები და ვალდებულებანი. დიდი შრომითი გამარჯვება მოიპოვეს უკრაინელმა მხვნელ-მთესველებმა. მათ პირნათლად შეასრულეს სიტყვა: რესპუბლიკის ყველა ოლქმა გადაჭარბებით შეასრულა სახელმწიფოსათვის მარცვლის მიყიდვის გეგმა, ელევატორებში მიიტანეს 12 მილიონ 300 ათასი ტონა მარცვალი. შესრულდა ბარეთვე ზეთოვანი კულტურებისა და მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის წლიური დავალებანი.

დიდი წვლილი შეიტანეს სამშობლოს ბელლებში რუსეთის ფედერაციის ბევრი ოლქის — განსაკუთრებით სარატოვის, ვოლგოგრადის, კურგანის, ჩელიაბინსკის ოლქების, კრასნოდარის მხარის, ბაშკირთისა და თათრეთის ასს რესპუბლიკების მიწათმოქმედებმა, მოლდავეთისა და მთელი რიგი სხვა რესპუბლიკების კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა, რომლებმაც სამშობლოს გეგმის გადამტანებთ მისცეს დიდძალი მარცვალი. კარგი მოსავალი მოიყვანეს ჩრდილოეთ ყაზახეთის ბევრი რაიონის მეყანმრეებმა. ხალხს ბევრი პროდუქცია მიაწოდეს მოსკოვის, ბრიანსკის, მინსკის ოლქების მეკარტოფილეებმა, ლიპეცკის, პენზის ოლქების, ალტაის მხარის მეეარხლეებმა, ასტრახანის, უზბეკეთის ბამოსტნეებმა, საქართველოს მეჩაიეებმა.

ხუთწლედის პირველ წელს ჩვენი ქვეყნის მებამბეებმა დაამზადეს დაახლოებით ექვსი მილიონი ტონა ხამი ბამბა. ახლა ისინი ცდილობენ განიმტკიცონ და გაამრავლონ ეს წარმატება. კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა უკვე დაამზადეს დაახლოებით ოთხი მილიონი ტონა ხამი ბამბა. სახელმწიფო გეგმა პირველმა შეასრულეს ტაშკენტის ოლქისა და თურქმენეთის სს რესპუბლიკის მეურნეობებმა.

წლითიწლობით დიდდება მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება. სოფლის მეურნეობის მშრომელებმა წარმატებით შეასრულეს რძის, ხორცის, კვერცხისა და მატყლის შესაყიდვის წლიური გეგმა. სახელმწიფოს მიჰყიდეს 86,2 მილიონი ტონა რძე, ანუ ორი მილიონი ტონით მეტი, ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში; პირუტყვი — 9,2 მილიონი ტონა, ანუ 1,3 მილიონი ტონით მეტი; კვერცხი — 11,3 მილიარდი ცალი, ანუ თითქმის იმდენივე, რამდენიც შესაყიდული იყო მთელ 1966 წელს. მატყლი შესყიდულია 339 ათასი ტონა—მეტი, ვიდრე რომელიმე წინა წელს. დიდი ქნიან ღირსია ბალტიისპირეთის რესპუბლიკების მწყემსავთა დამკვრელური მუშაობა. აქ საშუალო წველადობამ ძირითაზე ცხრა თვეში შეადგინა: ლატვიაში — 2206 კილოგრამი, ლიტვაში — 2237 და ესტონეთში — 2426 კილოგრამი.

მიწათმოქმედთა და მეცხოველეთა შრომა დიდი პატივისცემის ღირსია და სამშობლო ღირსეულად აფასებს კიდევ მეტ 300-ზე მეტ მეურნეობას მიენიჭა სამახსოვრო დროშები, რომლებიც დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის აღსანიშნავად არის დაწესებული. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ამასწინანდელ სესიაზე აღინიშნა, რომ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაობის გაუმჯობესებამ კეთილნაყოფიერი გავლენა მოახდინა მთელი ჩვენი ეკონომიკის განვითარებაზე. სოფლის მეურნეობის პროდუქციის მატების საშუალო წლიური ტემპები ხუთწლედის ორ წელიწადში წინა ხუთწლეულთან შედარებით გადიდდა თითქმის 1,8-ჯერ. მიმდინარე წელს, ოქტომბრის სახელოვან დღესასწაულამდე, თუმცა მთელ რიგ რაიონებში ამინდი არახელსაყრელი იყო, მოსალოდნელია, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქციის საერთო მოცულობა შარშანდელ დონეზე იქნება. შარშანდელი წელი კი, როგორც ცნობილია, ყველაზე მოსავლიანი იყო.

ეს წარმატებანი იმის შედეგია, რომ პარტია და მთავრობა დაუცხრომლად ზრუნავენ სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის, ეს წარმატებანი სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის პლენუმისა და XXIII ყრილობის, გადწყვეტილებათა კეთილნაყოფიერი გავლენის შედეგია. დაგეგმვის ახალმა წესმა, პროდუქციის შესახებ ფასების გადიდებამ, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტექნიკური ბაზის განმტკიცებამ — ყოველივე ამან ხელი შეუწყო ხალხის შემოქმედებითი ინიციატივის ახალ აღმავლობას, ფართო გაქანება მისცა ჩვენი სოფლის საწარმოო ძალების ზრდას. მაღალი შრომითი აქტივობით უპასუხეს მხვნელ-მთესველებმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის გადაწყვეტილებებს საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ.

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიდწევები ნათელია ნებისმიერ მშრომელმს შეუძლიათ იამაყონ. იამაყონ, მაგრამ მიღწეულს არ დასჯერდნენ. საბჭოთა სახელმწიფოს 50 წლისთავის იუბილეს რომ ვეგებებით, კარგად უნდა გვახსოვდეს ვლადიმერ ილიასძე ლენინის სიტყვები იმის შესახებ, რომ დიდი რევოლუციის წლისთავის დღესასწაულის აღნიშვნის საუკეთესო წესი ის არის, რომ მთელი უურადღება მივაპყროთ გადაუჭრელ ამოცანებს. სკკპ ცენტრალური კომიტეტი თავის საოქტომბრო მოწოდებებში აცხადებს:

— კოლმეურნეებო, საბჭოთა მეურნეობების მუშაკებო, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებო! მიაღწიეთ სოფლის მეურნეობის განვითარების მაღალ და მყარ ტემპებს! იბრძოლეთ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის!

სოფლის მშრომელთა მეცადინეობა, მათი ცოდნა და ოსტატობა ახლა ემსახურება მთავარ მიზანს — წარმატებით დაამთავრონ მოსავლის აღება უკანასკნელი სამუშაოები, სამშობლოს მისცენ მეტი პური და სხვა პროდუქტები, მტკიცე საფუძველი ჩაუყარონ მომავალ უხვ მოსავალს. ამასთან მეურნეობებში დაძაბულად ემზადებიან პირუტყვის გამოსაზამთრებლად, მეცხოველენი ცდილობენ უზრუნველყონ თვითეული ფერმა საკვების საკმარი მარაგით, დაამთავრონ საწარმოო შენობების მშენებლობა, რემონტი და მოწყობა. მათ ჯერ კიდევ ბევრი საქმე აქვთ, და ოქტომბრის დღესასწაულამდე დარჩენილი დღეები მინდვრებსა და ფერმებში დამკვრელური მუშაობის დღეები უნდა იყოს.

განსაკუთრებით ბევრი სამუშაო მოელით მებრინჯეებს, მესიმინდეებსა და მეშვარხლეებს, ალოობა აქვთ მებამბეებს. ბამბის მნიშვნელოვანი ნაწილი ჯერ კიდევ პლანტაციებშია. ძვირფასია ყოველი ბამბა — ეს ეროვნული ფონდია. ეროვნული ფონდია ყველაფერი, რაც მიწათმოქმედთა უნარიანი შრომით არის მოყვანილი.

მინდვრებში სამეშოდგომო სამუშაოთა დამთავრებისთანავე პარტიულმა ორგანიზაციებმა, მეურნეობათა ხელმძღვანელებმა და სპეციალისტებმა ყოველმხრივი ანალიზი უნდა გაუკეთონ წლის შედეგებს. და ეს უწინარეს ყოვლისა საჭიროა იმისათვის, რომ გამოავლინონ გამოუყენებელი რეზერვები, ხუთწლედის მესამე წლის გეგმაში გაითვალისწინონ მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების შემდგომი გადიდება, მისი თვითღირებულების შემცირება. შეჯიბრების საჯაროობა, მოწინავეთა გამოცდილების ფართოდ გამოყენება, ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების შემოწმება — აი რა შეუწყობს ხელს წარმოების წარმატებას, კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკის შემდგომ განმტკიცებას.

მხოლოდ რამდენიმე დღე რჩება ოქტომბრის სახელოვან დღესასწაულამდე. სოფლის ყველა მშრომელის პატრიოტუარახელსაყრელი იყო, მოსალოდნელია, ლი მისწრაფებაა ღირსეულად შეხვდეს რომ სოფლის მეურნეობის პროდუქციის მას.

### შესრულებულია ათი თვის გეგმა

ქუთაისი. 21 ოქტომბერი. (საქდესი). დღეს ქალაქის მრეწველობამ ვალდებულებით გათვალისწინებულ ვადაზე ოთხი დღით ადრე შეასრულა ათი თვის დავალება.

კარგი მაჩვენებლები მოიპოვეს ელექტრომექანიკური, სატრაქტორო, ლუდის ქარხნების, აბრეშუმკომბინატის, მაუდის, ტრიკოტაჟის, ავეჯის ფაბრიკების, საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს საწარმოთა კოლექტივებმა.

კარგად იშრომეს მშენებლებმაც. მათ გეგმა 105 პროცენტით შეასრულეს. წლის დამდეგიდან ქალაქის მოსახლეობამ გეგმის გადამეტებით მიიღო 6.874 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი.

# ბრძანებულება

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### „საყოველთაო სამხედრო ვალდებულების შესახებ“ სსრ კავშირის კანონის ძალაში შესვლის ნესის თაობაზე

შესაბამისად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს 1967 წლის 12 ოქტომბრის დადგენილებისა „საყოველთაო სამხედრო ვალდებულების შესახებ“ სსრ კავშირის კანონის ძალაში შესვლის წესის თაობაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების გადაჯვანა ნამდვილი სამხედრო სამსახურის ვადებზე, რომლებიც დაწესებულია სსრ კავშირის კანონით „საყოველთაო სამხედრო ვალდებულების შესახებ“ ჯარისკაცებისათვის, მატროსებისა, სერჟანტებისა და ზეშეკვეთებისათვის, განსრულებულდეს 1968-1970 წლებში, გარდა, რომელსაც დამტკიცებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო.

2. შეუნარჩუნდეთ ნამდვილ სამხედრო სამსახურში გაწვევის გადავადება სტუდენტებს, რომლებიც 1968 წლის 1 იანვარამდე ორიან მიღებული საღამოს და დაუსწრებელ უმაღლეს სასწავლებლებში, მათს ფილიალებში, ფაკულტეტებსა და განყოფილებებზე, აგრეთვე ქარხანა — უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებში მათს დამთავრებამდე. მაგრამ ამ სტუდენტთა ასაკი არ უნდა აღემატებოდეს 27 წელს.

3. გავრცელდეს „საყოველთაო სამხედრო ვალდებულების შესახებ“ სსრ კავშირის კანონის 37-ე მუხლის მოქმედება გაწვევებზე, რომლებმაც გაწვევის გადავადება მიიღეს განათლების განსაკრძობად, აგრეთვე იმათზე, ვინც სხვადასხვა მიზეზის გამო გაწვეული არ ყოფილა სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალებში 1968 წლის 1 იანვრამდე.

4. დაეკალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებანი შეიტანდეს სსრ კავშირის კანონს „საყოველთაო სამხედრო ვალდებულების შესახებ“.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. პოდგორნი.**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.**

**მოსკოვი. კრემლი. 1967 წლის 24 ოქტომბერი.**

# დიდი ჯილდო გვაკვალებს!

**„კომუნისტის“ ინტერვიუ**

● დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ ოზაჩირის რაიონის სოფელ ბესლახუნის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის მშრომელები ცნობას თავიანთი კოლმეურნეობის სამახსოვრო დროშით დაჯილდოების შესახებ, — თქვა „კომუნისტის“ საკუთარ კორესპონდენტთან საუბარში ეროვნული ფერმერის „ავრორას“ დელეგაციის წევრმა ვ. ნ. ლენინის დაბადების 100 წლისთავის თარიღს.

● ჩვენი კოლმეურნეობა, — თქვა წითელწყაროს რაიონის ზემო მაჩხაანის ლენინის ორდენსანი კოლმეურნეობის თავმჯდომარემ. სოციალისტური შრომის გმირმა ნ. მამაკაშვილმა, — მრავალდარგოვანი საზოგადოებრივი მეურნეობაა, სამახსოვრო დროშით დაჯილდოებულ კოლმეურნეთა აღფრთოვანება და შრომითი ენთუზიაზმი გამოიწვია.

დიდ იუბილეს ახალი წარმატებებით ვხვდებით. ვადაჭარბებით შეგასრულეთ მარცვლეულის, ყურძნის, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების წლიური გეგმები.

მემინდვრეები, მეგვინეები, მეცხოველეები ამ დღეებში უფრო მეტი მონდომებით შრომობენ. ორმოციათასიანი ცხვრის ფარები უდანაკარგოდ გადავიყვანეთ ზამთრის საძოვრებზე. სულ მალე დამთავრდება საშოდგომო თესვა. მეცხოველეობის ფერმებში გეგმის გადამეტებით მზადდება პროდუქტები. მადლობა კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა მთავრობას ჩვენი შრომის ესოდენ დიდი შეფასებისათვის. ზემომაჩხაანელ კოლმეურნეთა ერთსულოვანი გადაწყვეტილებაა კვლავაც იზრუნონ და იშრომონ საზოგადოებრივი მეურნეობის შემდგომი განმტკიცებისათვის, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდებისა თვის, მშრომელთა ცხოვრების დონის ამაღლებისათვის, ხუთწლიანი გეგმის შესრულების საქმეში საპატიო წვლილის შეტანისათვის. ვიშრომებთ ისე, რომ ახალი გამარჯვებებით შეგვეგებით ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს.

● ფლავის კოლმეურნეობის ეკონომიკა თანდათან უფრო მტკიცდება. შრომის ღირებულებაც მატულობს, — თქვა გორის რაიონის ფლავის შრომის წითელი დროშის ორდენსანი კოლმეურნეობის თავმჯდომარემ შ. შავაღაშვილმა, — ჩვენი კოლმეურნეები შეძლებულად და კულტურულად ცხოვრობენ.

ბეჭიერობის, მემარცვლეობისა და მეპარსლეობის შემდგომ განვითარებას, ჰექტარზე მოსავლიანობის გადიდებას მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავეთა გამოცდილების წარმოებაში დანერგვით მივაღწიეთ. ყოველწლიურად დიდი გადაჭარბებით სრულდება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გეგმები. საიუბილეო წელს კი უფრო მეტის გაკეთება დავიასახეთ. მიზნად და კიდეგაც მივაღწიეთ. გადაჭარბებით შესრულდა ხილის, მარცვლეულის, ბაჭრის ჭარხლის, მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების წლიური გეგმები. კვლავაც ვიშრომებთ ისე, რომ პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მადალი შეფასება დავიმსახუროთ.

# სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

მშრომელთა სოციალური უზრუნველყოფის სამუშაოთა ორგანიზაციაში მიღწეული წარმატებებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1967 წლის 23 ოქტომბრის ბრძანებულებით სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვა სოციალური უზრუნველყოფის ორგანოთა და დაწესებულებათა მუშაკების დიდი ჯგუფი.

მათ შორის საქართველოს სს რესპუბლიკაში

**ზრომის წითელი დროშის ორდენით**

1. **გვჯავა** ლუბა ალექსის ასული — გუდაუთის სოციალური უზრუნველყოფის რაიონული განყოფილების გამგე, აფხაზეთის ასსრ.

2. **ოიფურიძე** მიზეონ ესტატეს-ძე — საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის მინისტრი.

**„საპატიო ნიშნის“ ორდენით**

1. **გასიტვა** აკაკი ერდიმერეს-ძე — სოციალური უზრუნველყოფის საოლქო განყოფილების გამგე, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი.

2. **გაჩეჩილაძე** ვახტანგ მაქსიმეს-ძე — საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების ცენტრალური გამგეობის პრეზიდიუმის თავმჯდომარე.

3. **ვართანოვა** არუსიაკ ნაზარის ასული — სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების გამგე, 26 კომისრის სახელობის რაიონი, ქალაქი თბილისი.

4. **ზირაქაშვილი** ალექსანდრე ალექსანდრეს-ძე — საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს განყოფილების გამგე.

5. **ჭორიძე** გალაქტიონ ირაკლის-ძე — საქართველოს ყრუთა საზოგადოების № 1 სასწავლო-საწარმოებრივი საწარმოს მუშა.

6. **ჭიპინაძე** დავით ალექსის-ძე — საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის მინისტრის პირველი მოადგილე.

7. **ჯაფარიძე-მახარაძე** ეკატერინა დავითის ასული — თბილისის სოციალური უზრუნველყოფის საქალაქო განყოფილების უფროსი ინსპექტორი.

**მედლით „ზრომითი მამაცობისათვის“**

1. **ასლანოვა** ვართანუშ აკოფის ასული — კიროვის რაიონის სოციალური უზრუნველყოფის უფროსი ინსპექტორი, ქალაქი თბილისი.

2. **ბუჯიაშვილი** თამარ სიმონის ასული — კალინინის რაიონის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების ინსპექტორი, ქალაქი თბილისი.

3. **თექთოუმანიძე** ნიკოლოზ მიხეილის-ძე — საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების სასწავლო-წარმოებრივი საწარმოს მუშა, ქალაქი თბილისი.

4. **კოპლატაძე** მიხეილ სტეფანეს-ძე — მახარაძის რაიონის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების გამგე.

5. **მასურაშვილი** მარიამ ანტონის ასული — ლენინის რაიონის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების ბუღალტერი, ქალაქი თბილისი.

6. **ნავრაზაშვილი** დავით მიხეილის-ძე — საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს სასწავლო-საწარმოო სკოლის მუშა, ქალაქი თბილისი.

7. **შელია** ბორის მიხეილის-ძე — ზუგდიდის რაიონის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი ინსპექტორი.

8. **ჩხიკვაძე** დმიტრი ვიქტორის-ძე — ქუთაისის სოციალური უზრუნველყოფის საქალაქო განყოფილების უფროსი ინსპექტორი.

**მედლით „ზრომითი წარჩინებისათვის“**

1. **აპრიამოვი** სერგი ნიკოლოზის-ძე — საგარეჯოს რაიონის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების გამგე.

2. **ვარდოსანიძე** ლეონ ილლიასის-ძე — საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების ცენტრალური გამგეობის პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე.

3. **დავითაია** თამარ მურადის ასული — ქობულეთის რაიონის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების გამგე, აჭარის ასსრ.

4. **კაკაურიძე** შალვა ვიქტორის-ძე — ზესტაფონის რაიონის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების გამგე.

5. **მეიშვილი** როლანდ ხუსტორის-ძე — სამტრედიის რაიონის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების გამგე.

6. **ნაზაროვა** არფენიკ სუმბათის ასული — თბილისის სპეციალურ-ორთოპედიული ქარხნის მეუბალი-ფეთაბაშირე.

7. **როინიშვილი** გიორგი იუტენეს-ძე — ტყიბულის სოციალური უზრუნველყოფის საქალაქო განყოფილების გამგე.

## საქართველოს კოოპერატორთა ნარმატება

წელს საქართველოს კოოპერატორებმა დიდ წარმატებას მიაღწიეს.

სამომხმარებლო კოოპერაციის განვითარებასა და განმტკიცებაში აქტიური მონაწილეობისათვის და დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრი სოციალისტურ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებისათვის საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციას სამუდამოდ მიენიჭა „ცენტროსოიუზისა“ და სახელმწიფო ვაჭრობის და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის დროშა. (საქდესი).

# მილება ვ. პ. მჟავანაძესთან

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. პ. მჟავანაძემ 24 ოქტომბერს მიიღო ლეგენდარული კრეისერის „ავრორას“ დელეგაცია, რომელიც საქართველოში იმყოფება. ამხ. ვ. პ. მჟავანაძე გულთბილად მიესალმა დელეგაციის წევრებს — ყოფილ მეზღვაურ — ელექტრიკოსს, ზამორის სახანლის იერიშის მონაწილეს, ამჟამად პერსონალურ პენსიონერს დ. ი. ვაშჩუკს, ცენტრალური სამხედრო-საზღვაო მუზეუმის კრეისერ „ავროროსა“ ფილიალის უფროსს, მე-2 რანგის კაპიტანს ბ. ვ. ბურკოვსკის და ხომალდის კომკავშირული ორგანიზაციის მდივანს ვ. გრიბოვს.

ვ. პ. მჟავანაძესა და „ავრორას“ წარმომადგენელთა შორის გაიმართა მეგობრული საუბარი.

საუბარს დაესწრნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ს. ძოწენიძე და საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ო. ი. ლოლაშვილი. (საქდესი).

# ბრეს-კონფერენცია

## ლეგენდარული „ავრორას“ ნარმომადგენლებთან

24 ოქტომბერს თბილისის რუსთაველის სახელობის თეატრის მცირე დარბაზში შეიკრიბნენ საქართველოს დედაქალაქის საზოგადოებრივობის წარმომადგენლები, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული მუშაკები, მოსწავლე ახალგაზრდობა. გაზეთ „ვეჩერნი ტბილისის“ ინიციატივით აქ გაიმართა ბრეს-კონფერენცია ლეგენდარული „ავრორას“ წარმომადგენლებთან — ხომალდის ყოფილ მეზღვაურ-ელექტრიკოსთან, ზამთრის სასახლის იერიშის მონაწილესთან, ამჟამად პერსონალურ პენსიონერ დ. ვაშჩუკთან, ცენტრალური სამხედრო-საზღვაო მუზეუმის კრეისერ „ავრორას“ ფილიალის უფროსთან, მე-2 რანგის კაპიტან ბ. ბურკოვსკისთან და ხომალდის კომკავშირული ორგანიზაციის მდივანთან ვ. გრიბოვთან.

ბრეს-კონფერენცია გახსნა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ო. ლოლაშვილმა. მან „ავრორას“ წარმომადგენლებს, ლენინის ქალაქის ყველა მშრომელს მიულოცა ოქტომბრის დიადი 50 წლისთავი. ო. ლოლაშვილმა აღნიშნა, რომ თბილისელებს მჭიდრო მეგობრული ურთიერთობა აქვთ ლენინგრადელებთან და ეს მეგობრობა მიაჩნიათ შრომითს წარმატებებთა საწინდრად.

**დ. ვაშჩუკმა, ბ. ბურკოვსკიმ და ვ. გრიბოვმა** უპასუხეს შეკრებილთა მრავალ შეკითხვაზე. მათ ილაპარაკეს კრეისერ „ავრორას“ ისტორიული ზალპის მნიშვნელობაზე, მისი ეკიპაჟის მონაწილეობაზე დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციაში, აღნიშნეს ის წვლილი, რომელიც ნევის სანაპიროსთან მარად მდგომი ხომალდის ეკიპაჟს შეაქვს მშრომელთა აღზრდაში უფროსი თაობის ახალგაზრდა საბრძოლო ტრადიციებით.

ამხ. ო. ლოლაშვილმა პრეს-კონფერენციაზე დასასრულს ლეგენდარული „ავრორას“ წარმომადგენლებს გააცნო თბილისელთა წარმატებანი საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში. (საქდესი).

## პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის აღმასკომის სესიაზე

**პროფკავშირთა** მსოფლიო ფედერაციის აღმასრულებელი კომიტეტის 34-ე სესიის მუშაობაში მონაწილეობისათვის 24 ოქტომბერს მოსკოვიდან პრაღაში გაფრინდა საბჭოთა პროფკავშირების დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. შელეპინი.

დელეგაციის შემადგენლობაში არიან საკავშირო პროფსაბჭოს მდივნები ტ. ნ. ნიკოლაევა, პ. ტ. პიმენოვი და სხვები. (საქდესი).

## ჟურნალისტთა სამეცნიერო სესია

**24 ოქტომბერს** სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალში გაიმართა სამეცნიერო სესია, რომელიც მოიწვიეს საქართველოს ჟურნალისტთა კავშირმა, სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალმა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტის ჟურნალისტიკის განყოფილებამ. სესია მიეძღვნა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავს.

სესია შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **დ. სტურუამ.**

მოხსენება — „საბჭოთა საქართველოს პრესა ოქტომბრის 50 წლისთავისათვის“ — გააკეთა ჟურნალ „საქართველოს კომუნისტის“ რედაქტორმა, რესპუბლიკის ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილემ **შ. გაგოშიძემ.**

გაზეთი „პრავდა“ და ოქტომბერი“ — ამ საკითხს მიეძღვნა თავისი მოხსენება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტმა **ი. ნატროშვილმა.**

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა **გ. ფეანიამ** წაიკითხა მოხსენება თემაზე: „საქართველოს ბოლშევიკური პრესა საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლაში“. (საქდესი).

# ლიტერატურისა და ხელოვნების მაღალი იდეურობის, პარტიულობისა და ხალხურობისათვის

## ახალგაზრდა შემოქმედებითი ინტელიგენციის რესპუბლიკურ შეკრებაზე

**დიდი** ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისთვის მზადების დღეებში საქართველოს ახალგაზრდა შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლები შეიკრიბნენ ბორჯომში, რათა ესაუბრათ შემოქმედებითის გზებსა და უახლოეს ამოცანებზე. შეკრებაზე, რომელიც მიეძღვნა საბჭოთა ხელისუფლების 50 წლისთავს, გაამართა დიდი სკა-ბაასი ლიტერატურისა და ხელოვნების ახალგაზრდა მუშაკთა ამოცანებსა და მოვალეობებზე კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში.

შეკრება გადაიქცა საქართველოს შემოქმედებითი ინტელიგენციის თაობათა ერთობის, პარტიის საქმისადმი მათი ერთგულების მკაფიო დემონსტრაციად.

საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **რ. შეტრეველმა** შესავალ სიტყვაში აღნიშნა ის დიდი პატრიოტული და შემოქმედებითი აღმავლობა, რომლითაც ახალგაზრდა ქართველი შემოქმედებითი ინტელიგენცია ეგებება საბჭოთა ხალხისა და მთელი პროგრესული კაცობრიობის ცხოვრებაში ყველაზე ღირსსახსოვარ თარიღს — დიდი ოქტომბრის 50 წლისთავს.

სოციალისტური რეალიზმის პრინციპებსა და პარტიულობის პოზიციებზე დაფუძნებულმა საბჭოთა ლიტერატურამ და ხელოვნებამ, თქვა ამბ. მეტრეველმა, შექმნა არა ერთი და ორი ათეული და ასეული ნაწარმოები, რომლებმაც მტკიცედ და სამუდამოდ დაიკავიდრეს ადგილი ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლოს კულტურის საგანძურში. მათში ნათელი ასახვა ჰპოვა საბჭოთა საზოგადოების მთელმა ისტორიამ, საზოგადოების ყველა ფენის ცხოვრებამ, კომუნისტური პარტიისა და ლენინური კომკავშირის მოღვაწეობამ.

საბჭოთა ეპოქამ, ჰუმანისტური იდეალებისა და მაღალმორალური გმირობის ეპოქამ, მშრომელი ხალხის, ახალგაზრდა თაობის მაღალი შეგნებულობის ჩამოყალიბებამ, წინსვლამ და წარმატებათა სიმრავლემ მდიდარი მასალა მისცეს ლიტერატურასა და ხელოვნებას დადებითი გმირის სახის შესაქმნელად. სწორედ ამით არის განპირობებული დადებითი გმირების მრავალფეროვანი გალერეის შექმნა, რომელშიც დიდი გულმოდგინებითა და სიყვარულით გაიხსნა საბჭოთა ადამიანების, ახალი ცხოვრების მშენებელი ადამიანების ხასიათი. ქართული საბჭოთა ლიტერატურა და ხელოვნება ყოველთვის იდგა ეპოქისა და ხალხის მოთხოვნათა სიმაღლეზე. მათი თვალსაჩინო წარმომადგენლები დროის მოწინავე შემოქმედნი გახდნენ, რადგან შეითვისეს ხალხის სურვილებისა და ოცნებების მხატვრული ასახვის რთული ხელოვნება.

არ ყოფილა ჩვენი ცხოვრების არც ერთი ეტაპი, თუ ბევრად მნიშვნელოვანი ეტაპი, რომლის იდეურ-მხატვრული მატიანე ან შეექმნას ჩვენს ლიტერატურასა და ხელოვნებას, თქვა შემდეგ ამბ. მეტრეველმა.

ქართული საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების წარმომადგენლები ყოველმხრივ უწყობდნენ ხელს სოციალისტური ყოფის დამკვიდრებას, კომუნისტური პრინციპების ჩამოყალიბებას, საბჭოთა პატრიოტიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის გრძნობების განმტკიცებას. დღეს, როცა საბჭოთა ხალხი ზეიმობს თავის სახელოვან ორმოცდამეთე წლისთავს, ჩვენ ერთხელ კიდევ ვგრძნობთ, ზემოქმედების რა უდიდესი ძალა აქვს საბჭოთა ხელოვნებას.

სასიხარულოა, რომ ქართველმა შემოქმედებითმა ახალგაზრდობამ დაკვირვებით აითვისა კლასიკური მეტკვიდრეობა, გამოამეღავნა მამების მიერ შექმნილი ტრადიციებისადმი ღრმა პატივისცემა და ყოველივე ამაზე დაყრდნობით შეიმუშავა ნოვატორობისადმი, სიახლის თქმისადმი შეუნელებელი სწრაფვა. ახალგაზრდა შემოქმედთა პროფესიულმა ოსტატობამ და კარგმა გემოვნებამ უკვე მოიპოვა აღიარება.

სულ რაღაც ნახევარი საუკუნის მანძილზე ჩვენმა ხალხმა გაავლო კოლოსალური გარდაქმნების გზა, შექმნა პრინციპულად ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობა, გიგანტურად განავითარა წარმოება, განათლება, მეცნიერება და კულტურა. მაგრამ ჩვენი პარტიის უდიდესი მონაპოვარია ახალი ადამიანის, მებრძოლისა და შემოქმედის — სოციალიზმის ყველა მიღწევის შემოქმედის აღზრდა. ეს წმიდათა წმიდა მონაპოვრები შეუპოვარი შრომით, სამხედრო გმირობით, ჩვენი დედებისა და მამების სისხლით ბრძოლით მოპოვებული.

მილიონობით ქალიშვილისა და ჰაბუკის ლტოლვა კულტურისადმი, იმისადმი, რომ შეიცნოს სამყაროს მხატვრული შემოქმედების საუკეთესო ნიმუშების მეთხებით, განსაზღვრავს ლიტერატურისა და ხელოვნების განსაკუთრებულ როლს მოზარდი თაობის მსოფლმხედველობის, ესთეტიკური და ბუნებრივი იდეალების ჩამოყალიბებაში. ჩვენი მწერლისა და მხატვრის, კომპოზიტორისა და მსახიობის შემოქმედება უმთავრესი პარტიისა და კომკავშირის შთაგონერად ახალგაზრდობას სამშობლოს სიყვარულის წმიდა გრძნობა, მაღალი მოქალაქეობრივობა, მებრძოლი პუმანიზმი.

შემდეგ ამბ. მეტრეველი ლაპარაკობს ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების ახალგაზრდა თაობის წარმომადგენელთა მიღწევებზე და აღნიშნავს, რომ საბჭოთა ხელისუფლების სახელოვანი იუბილესათვის მზადებამ კიდევ უფრო თვალსაჩინო გახადა ახალგაზრდა მწერლებისა და ხელოვნების მუშაკთა შემოქმედებითი აქტივობა. შეიქმნა ახალი მაღალმხატვრული და ცხოვრებით ნაკარნახევი ლექსები, მოთხრობები, პოემები, რომანები და პიესები, სამღერები, საოპერო და კამერული ნაწარმოებები, ფერწერული ტილოები, სკულპტურული და გრაფიკული კომპოზიციები, ახალი კინოფილმები, თეატრალური და სატელევიზიო დადგმები, არქიტექტურული ნაგებობანი და პროექტები, რომლებიც ეძღვნება სახელოვანი რევოლუციური წარსულის, საბჭოთა სახელმწიფოს მშენებლობისა და საბჭოთა კაკშირის კომუნისტური პარტიის სახელოვანი ისტორიის თემებს. ჩვენი თანამედროვეობის შთამაგონებელ სახეებსა და საქმიანობას, მათს ბრძოლას კომუნიზმის საბოლოო გამარჯვებისათვის.

სიტყვა ეძღვნება საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომაოს, პოეტ-კადეტიკოს **ს. ანბანელის**. იგი ლაპარაკობს იმ შემოქმედებით აღმფრენაზე, რომლითაც ქართული ლიტერატურის მოღვაწენი იკებდნენ დიდი ოქტომბრის სახელოვან იუბილეს. მათ შექმნეს არაერთი ნაწარმოები და აკლავაც ქმნიან ნამდვილად ეპოქისეულ საინტერესო ნაწარმოებებს, სურთ პირნათელნი იყვნენ პარტიისა და ხალხის წინაშე. ასეთი პატრიოტული სულისკვეთება ქართველ მწერლებს სახელოვან ტრადიციად მოსდგამთ. ეს ტრადიციები იქმნებოდა საბჭოთა ხელისუფლების წლებში, ჩვენს რესპუბლიკაში. მომხდარი სოციალისტური გარდაქმნების შესაბამისად.

ჩვენ შევეჩვიეთ დიად გარდაქმნებსა და ძვრებს საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში. დღეს ეს ყველაფერი ბუნებრივად მიგვაჩნია და ნაკლებ გაოცებას გამოვიქვამთ ამ ნამდვილად რომ ზღაპრული მოვლენების გამო ჩვენს ცხოვრებაში. ორატორმა გაიხსენა ის პერიოდი, როცა მწყობრში ჩადგა საბჭოთა ხუთწლედების პირმშო — ზაკენი. ქართველი მწერლები მხურვალედ მიესალმნენ ამ მშენებლობას, მასში დაინახეს ახალი ყოფის მაცნე და ბევრი მაღალმხატვრული ნაწარმოები უძღვნეს მას. ამ ეტაპზოლადგურს მხოლოდ 40 ათასი კილოვატ-სიმძლავრე ჰქონდა. დღეს კი მდინარე ენგურზე შენდება მთელ ამიერკავკასიაში უდიდესი და უნიკალური ელექტროსადგური, რომლის სიმძლავრე 1.600 ათასი კილოვატი იქნება. ამბ. აბაშიძემ მოუწოდა ახალგაზრდა შემოქმედთ მეტი ენერგიითა და მონდომებით ჩაებან თანამედროვე ცხოვრების ფერხულში, შექმნან ჩვენი ეპოქის შესაფერისი ნაწარმოებები, რომლებიც არა მარტო ნათლად ასახავენ ჩვენი ხალხის სულიერ ყოფას, არამედ გაუძღვებიან კიდეც მას კომუნიზმის ნათელი მწვერვალებისაკენ.

საბჭოთა ხელისუფლების წლები საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში ბევრი რამით არის მნიშვნელოვანი. რომ გადაგვეხედოთ გაფლილ გზას, ჩვენს წინაშე თვალუწვდენ სიმაღლეებად აღიმართება ოქტომბრის მონაპოვრები. ამ მონაპოვართა რიცხვს ეკუთვნის კოსმოსის ათვისება, დიადი კომუნისტური მშენებლობის ობიექტები. ამ მონაპოვართა რიცხვს ეკუთვნის ჩვენი ქვეყნის ხალხთა ურღვევი ძმობა და ლენინური კოლექტივიზმის პრინციპების მტკიცედ დამკვიდრება ჩვენს ცხოვრებაში. ამ მონაპოვართა რიცხვს ეკუთვნის აგრეთვე ის, რომ დიდად დაფასდა ჩვენი ხალხის ეროვნული კულტურა. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების წლებში მოხდა შესაძლებელი შორს გაგვეტანა ჩვენი კულტურის საგანძური და მსოფლიოს ხალხთათვის მისაწვდომი გაგვეხადა იგი.

ოქტომბრის რევოლუციის ღირსშესანიშნავი თარიღის მიჯნაზე, თუ თვალს გადავავლებთ ჩვენს მონაპოვრებს, ამბობს ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი **თ. გამყრელიძე**, დავინახავთ, რომ ამ მონაპოვართა შორის ჩვენს მეცნიერებასა და უმაღლეს სკოლას ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი უჭირავს. საბჭოთა მეცნიერებმა მთელ რიგ დარგებში მსოფლიოში მოწინავე და წამყვანნი. ჩვენი უმაღლესი სკოლა თავისი ქსელით, სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა კონტინგენტით, შესასწავლ სპეციალობათა მრავალფეროვნებითა და დიამაზონით არნახულია, უჩვეულოა ყველა ხალხისა და ყველა დროისათვის. გაბჭელი ნახევარი საუკუნის მანძილზე, რომელიც იყო ჩვენი ეროვნული მეცნიერების აღორძინებისა და განვითარების ბრწყინვალე პერიოდი, საზოგადოებრივმა მეცნიერებმა და, კერძოდ, ქართულმა ენათმეცნიერებამ საერთაშორისო აღიარება ჰპოვა. ამ მიღწევაში უფროს თაობასთან ერთად მნიშვნელოვანი წვლილი შეეტანა ახალგაზრდა თაობამაც, რომელმაც გაამდიდრა ქართული ენათმეცნიერების პრობლემატიკა ახალი ამოცანებითა და იდეებით.

ორატორი ლაპარაკობს იმის შესახებ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას საზოგადოებრივ მეცნიერებათა განვითარების ღონისძიებათა შესახებ, რომელმაც დასახულია ამ მეცნიერებათა შემდგომი ზრდისა და განვითარების გზები. ამ დადგენილებას, ბუნებრივია, მოჰყვება პრაქტიკული ნაბიჯები საზოგადოებრივ მეცნიერებათა შემდგომი განვითარების საქმეში, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ჩვენში მეცნიერების ყველა დარგის ჰარმონიულ განვითარებას. ეს კი აუცილებელი წინაპირობაა საზოგადოდ მეცნიერული პროგრესისათვის.

თეატრი თავისი განვითარების საუკეთესო ეტაპზე ყველგან და ყოველთვის იყო ეპოქის პროგრესული იდეების მატარებელი, ამბობს თბილისის მარჯანიშვილის სახელობის თეატრის რეჟისორი **ლ. მირცხულავა.** საბჭოთა თეატრს, კერძოდ კი ქართულ თეატრს ამ მხრივ საუკეთესო ტრადიციები აქვს, რომელთა ნაყოფიერი გაგრძელება ნათლად იგრძნობა დღეს სახელოვანი იუბილესათვის მზადების დღეებში. ჩვენი თეატრების სცენიდან სულ უფრო მკაფიოდ გაისმის თანამედროვეობის ხმა, შეიქმნა მრავალი მაღალმხატვრული სპექტაკლი კომუნიზმის მშენებელ საბჭოთა ადამიანზე. საჭიროა ახალგაზრდა თაობამ ყოველმხრივ შეუწყოს ხელი ამ ტრადიციათა კიდევ უფრო გაღრმავებისა და გაძლიერებისას. თანდათან გვეროდება თაობა, რომელიც მოახდინა რევოლუციია. ეს თაობა ამბრეს ესტაფეტას ახალ თაობას, რომელიც ღირსეულად აგრძელებს შექმნილ სასახელო ტრადიციებს. რამდენადაც უფრო თამამად ვენდობით ახალგაზრდობას, იმდენად უფრო მეტს გვიზლავს იგი თავისი ერთგულებითა და შრომით, დაუოკებელი ენერგიითა და სიახლისკენ სწრაფვით. სწორედ ეს არის ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს ძირითადი და უშრეტი ძალა, ამაშია ჩვენი ხელოვნების განუხრელი განვითარების საფუძველი.

ტრიბუნაზეა პოეტი **თ. ჭილაძე.** იგი ლაპარაკობს ახალგაზრდა ქართველი ლიტერატორების შემოქმედებითს საქმიანობაზე და აღნიშნავს, რომ ახალგაზრდა ქართველი მწერლების უმეტესობისათვის არ არსებობს სხვა რეჟიმი, გარდა იმისა, რომ იყოს თავისი სამშობლოს სანიმუშო მოქალაქე, ცხოვრობდეს თავისი ხალხის ცხოვრებით.

ჩვენ, ახალგაზრდა შემოქმედთ, თვითონ ცხოვრება მოგვიწოდებს დაუცხრომლად ვეძიოთ ახალი, თვითონ ცხოვრება გვიკარნახებს და გვაქეზებს ნოვატორული ძარღვის მოსახდენად. და ქართველი ახალგაზრდა მწერლები დაუღალავი შრომითა და მაღალი შეგნებით იღვწიან ამ მაღალი მოვალეობის პირნათლად შესრულებისათვის.

თ. ჭილაძე სვამს საკითხს იმის შესახებ, რომ მკვეთრად გადუჭრიან ქართული წიგნის გამოცემის ხარისხი, წიგნთან ვაკრობა და მისი პროპაგანდის საქმე.

საქართველოს არქიტექტორთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილემ **ს. კინწურაშვილმა** დაახასიათა ქართული არქიტექტურის განვითარების გზები უკანასკნელი 50 წლის მანძილზე. ქართული არქიტექტურის მიერ მიღწეული გამარჯვებები მეტად მნიშვნელოვანია, ამბობს იგი. გასასკეთრებთ ჩანს ეს ქალაქმშენებლობაში. ამის შესანიშნავი ნიმუშია ახალი ქალაქის რუსთავის დაგეგმარება და მოკლე დროში განაშენიანება, კურორტ წყალტუბოს ეთილმოწყობა, თბილისის ახალშენებლობანი და სხვა. საბჭოთა ხელისუფლების წლებში ქართველმა არქიტექტორებმა შექმნეს ბევრი ნაწარმოები, რომლებიც ჩვენი მწერლების, მხატვრების, კინოსა და თეატრის მუშაკების საუკეთესო ნაწარმოებებთან ერთად ქმნიან იმ საგანძურს, რომელსაც ქართული საბჭოთა ხელოვნება ჰქვია. დიდი წარმატებები აქვთ ახალგაზრდა ქართველ არქიტექტორებს. ამ ცოტა ხნის წინათ გაგვახარეს ყველაზე ახალგაზრდებმა: პრაღაში გამართულ საერთაშორისო კონკურსზე თბილისის სამხატვრო აკადემიის დიპლომანტმა ვ. ცინცაძემ დაიმსახურა უმაღლესი ჯილდო „ოთინის პრემია". ვ. ცინცაძემ, პირველმა საბჭოთა კაკშირში, დაიმსახურა ეს პრემია. ქართველ არქიტექტორთა ბევრმა ნამუშევარმა გაიმარჯვა საბჭოთა არქიტექტურის პირველ სრულად საკავშირო დათვალიერებაზე და სხვ.

ტრიბუნაზეა რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატი, მოქანდაკე **ე. ამაშუკელი.** საქართველოს მხატვართა კავშირი, აბობს იგი, თავის წევრთა რიცხვით და პოტენციური შესაძლებლობით ერთ-ერთი დიდი შემოქმედებითი კოლექტივია მთელ საბჭოთა კავშირში. იშვიათად შეხვდებით სხვაგან ისეთ შემოქმედებითს მრავალფეროვნებას, როგორც ჩვენს რესპუბლიკაში. განსაკუთრებული და თავისებურია ქართველ მხატვართა შემოქმედება, მხატვრული ანროვნება და სტილი. დიდი ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ გადაგლილი 50 წელი ქართული საბჭოთა ხელოვნების აღორძინების პერიოდია. ამან უმოკლეს დროში შეძლო მსოფლიოს დიდი კულტურული მემკვიდრეობის ათვისება, რაც ესოდენ აუცილებელია ხელოვნების ეანვითარებისათვის. შეიქმნა მრავალი ნაწარმოები, რომლებმაც ღირსეული ადგილი დაიკავეს დღევანდელი მსოფლიოს პროგრესული საბჭოთა ხელოვნების ნიმუშების გვერდით.

მეტად დიდი წარმატებები მოიპოვა წიგნის გამოცემის საქმემ საბჭოთა საქართველოში. მაგრამ მიღწეული როდი აკმაყოფილებს მაღალი გემოვნების ქართველ მკითხველს. იგი მოითხოვს, რომ რესპუბლიკის გამომცემლობანი არა მარტო დიდი რაოდენობით უშვებდნენ მაღალმხატვრულ და მაღალიდეურ ნაწარმოებებს, არამედ პოლიგრაფიულად კარგად დალამაზად შესრულებულ წიგნებსაც. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს" დირექტორმა **ვ. ჭელიძემ** ილაპარაკა იმ ამოცანებსა და პრობლემებზე, რომლების გადაჭრასაც მოითხოვს ქართული პოლიგრაფიული მრეწველობისა და საგამომცემლო საქმის შემდგომი მკვეთრი გაუმჯობესება.

საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარემ, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა **ა. მაჭავარიანმა** აღნიშნა, რომ ქართულმა მუსიკალურმა კულტურამ არნახული განვითარებას მიაღწია. ქართული მუსიკის ფუძემდებელი ზაქარია ფალიაშვილი ოცნებობდა, რომ ქართული მუსიკა ეროვნულ ფარგლებს გასცდენოდა. დღეს შეგვიძლია სიამაყით განვაცხადოთ, რომ დიდი ქართველი კომპოზიტორის ოცნება ახდა. დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ გახადა შესაძლებელი, რომ ქართულმა მუსიკალურმა კულტურამ ეროვნული საზღვრები გადალახა და მსოფლიოს ხალხებისთვისაც ხელმისაწვდომი გახდა. ჩვენი კომპოზიტორები და მუსიკოსი შემსრულებლები სულ უფრო ხშირად ხდებიან საერთაშორისო კონკურსების ლაურეატები. ჯანა ქართული მუსიკალური კულტურის საქეიფო აღიარება არ იქნება ის ფაქტი, რომ გაისად ზაფხულში პაიზაში მოეწყობა ქართული მუსიკის ფესტივალი? ეს არის ჩვენი მუსიკალური კულტურის მონაპოვარი ამ 50 წლის განმავლობაში. ეს არის ამავე დროს ახალი შემოქმედებითი მუშაობის დაბყრობის საწინდარი. თვითეულ საბჭოთა მუსიკოსს შექმნილი აქვს განუსაზღვრელი შესაძლებლობანი, რათა შექმნას ეპოქის შესაფერისი მაღალმხატვრული ნაწარმოებები, და ქართული მუსიკის მოღვაწენი აქტიური შემოქმედებითი შრომით უპასუხებენ პარტიასა და მთავრობას დიდი ზრუნვისათვის. არ მეგულება არც ერთი ქვეყანა, სადაც ისეთი ფართო შესაძლებლობანი იყოს მუსიკალური კულტურის განვითარებისათვის, როგორც ჩვენში.

ქართულ კინემატოგრაფიას, ამბობს კინორეჟისორი **ლ. ღოღობერიძე,** დღეს მყარი საფუძველი აქვს. მაგრამ გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია. ამაღლდა მაყურებლის გემოვნება, შესაბამისად მაღლდება მოთხოვნები ავრეთვე კინემატოგრაფიის მიმართ. ამიტომ კინოს მოღვაწეთა უმირველესი ვალია ყოველდღიურად იზრუნონ ამ მეტად პოპულარული ხელოვნების შემდგომი განვითარებისათვის. ამ ბოლო წლებში ქართულმა კინოხელოვნებამ საკვეყნო აღიარება ჰპოვა. ჩვენი ფილმები სულ უფრო ხშირად ხდებიან საერთაშორისო ფესტივალების ლაურეატები. ქართულ კინოში მოვიდა ნიჭიერი ახალგაზრდობა, რომელსაც აქვს თავისი ინდივიდუალობა და სურვილი მართლად ასახოს ეპოქის, საბჭოთა ადამიანის მჩქეფარე ცხოვრება. ეს ახალგაზრდობა გარემოცულია კომუნისტური პარტიის მხრივ დიდი ყურადღებითა და ზრუნვით. ეს კი იძლევა იმის იმედსა და გარანტიას, რომ ჩვენ დავიპყრობთ კინოხელოვნების ახალ სიმაღლეებს.

ქართველი მეცნიერები დიდი ინტერესით ადევნებენ თვალყურს ჩვენი ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებას, ამბობს აბასუმშინი ასტროფიზიკური ობსერვატორიის დირექტორი, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი **ე. ხარაძე.** მაგრამ მათ სურთ უფრო მჭიდრო კონტაქტები დაამყარონ ხელოვნებისა და ლიტერატურის მოღვაწეებთან, სურთ, რომ ჩვენს მწერლობაში თუ ხელოვნებაში აისახოს ის დიდი მიღწევები, რაც საბჭოთა მეცნიერებამ ამ უკანასკნელ წლებში მოიპოვა. რატომღაც ქართული ლიტერატურული ჟურნალ-გაზეთები ნაკლებ ყურადღებას უთმობენ მეცნიერების მიღწევებს. ასეთი სტატიებისა და წერილების გამოქვეყნება კი ხელს შეუწყობდა როგორც ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების შემდგომ განვითარებას, ისე საბჭოთა ადამიანის მრავალფეროვანი ცხოვრების სრულად და ნათლად ასახვას.

ტრიბუნაზეა მესაზღვრის ფორმაში გამოწყობილი ახალგაზრდა მწერალი ნოდარ დუმბაძე. მას შეკუმშილთ გააცნო მესაზღვრეთა საინტერესო და პასუხსაგები საქმიანობა. ერთხელ შეხვედრის დროს მესაზღვრეებმა მწერალს სთხოვეს ეასახა მათი ცხოვრება. ნ. დუმბაძე სიამოვნებით დაჰპირდა სურვილის შესრულებას და დღეს, როცა საბჭოთა მესაზღვრეებს შორის იმყოფება, აგროვებს მასალებს თავის მომავალი ნაწარმოებისათვის.

ქართველ მუსიკოსებს, ისევე როგორც სხვა პროფესიის მუშაკებს, ბუნებრივ მოვლენად მიგვაჩნია ის უდიდესი მზრუნველობა, რომელსაც ინიჭენ ჩვენი შემოქმედების მიმართ კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა. სწორედ ამ მზრუნველობის შედეგია ის, რომ ქართული მუსიკალური კულტურა ასეთ მაღალ დონეზე [illegible] ლოს ქორეოგრაფიული [illegible] ლოვნად ამაღლდა ავრეთვე თვითმოქმედი კოლექტივების იდეურ-მხატვრული დონე. ზაფხულში მოწყობილმა რესპუბლიკურმა ფესტივალმა გამოავლინა მრავალი საკმაოდ ძლიერი კოლექტივი. მაგრამ, სამწუხაროდ, ამ გუნდების რეპერტუარი ძალიან ერთფეროვანია. ხალხური თვითმოქმედების გუნდების ძირითადი ამოცანაა უხიკალური და უაღრესად მრავალფეროვანი ქართული ხალხური სიმღერების აქტიური პროპაგანდა. ხშირად კი სხვადასხვა რაიონის გუნდები მღერიან ერთსა და იმავე სიმღერებს, ზოგჯერ დამახინჯებული სახითაც კი.

რესპუბლიკის ქორეოგრაფიული და საგუნდო საზოგადოება ცდილობს ბოლო მოეღოს ყოველივე იმას, რაც ხელს უშლის ქართული მუსიკალური ხელოვნების განვითარებას, ხრუნავს იმისათვის, რომ სრულყოფილად გამოიყენოს ხალხური თვითმოქმედების განვითარებისათვის ის ხელსაყრელი პირობები, რომლებიც შეგვიქმნეს კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ.

საქართველოს ახალგაზრდა შემოქმედებითი ინტელიგენციის მესამე რესპუბლიკურ შეკრებაზე სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ვ. პ. მჟავანაძემ.**

## ამხანაგ ვ. პ. მჟავანაძის სიტყვა

**ძვირფასო ამხანაგებო!** მოხარული ვარ, რომ ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მთავრობის სახელით მოგესალმოთ ჩვენი ლიტერატურისა და ხელოვნების ახალგაზრდა თაობას. თქვენი სახით მოვესალმებით მთელ ჩვენს შემოქმედებითს ახალგაზრდობას, ყველა იმას, ვისაც წილად ხვდა ბედნიერება — ცხოვრობდეს და შრომობდეს ამ შესანიშნავ დროში, როცა გმირი საბჭოთა ხალხი წარმატებთან აშენებს კომუნისტურ საზოგადოებას.

ჩვენ რომ შევეკრიბეთ დიადი თარიღის წინ, დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის კარიბჭესთან, ეს რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ არის. ჩვენ კარგი ტრადიცია გვაქვს: როცა ამა თუ იმ მნიშვნელოვანი მოვლენის გამო საჭიროა აზრთა ურთიერთგაზიარება, ვხვდებით ხოლმე შემოქმედებითს ინტელიგენციას, ვინაიდან იგი მოგვაჩნია პარტიის ერთგულ მებრძოლად, ხალხის შესაიდუმლედ.

დღევანდელ ჩვენს შეხვედრას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ეს არის თქვენი — ახალგაზრდა მეცნიერების, მწერლების, კომპოზიტორების, მხატვრების, არქიტექტორების, თეატრისა და კინოს მუშაკების საიუბილეო ანგარიში.

შემდეგ ამხანაგი მჟავანაძე ახასიათებს ახალგაზრდა თაობის წარმომადგენელთა სასახელო შრომითს საქმიანობას, აღნიშნავს, რომ საქართველოს ახალგაზრდა შემოქმედებითი ინტელიგენცია ღირსეული შემკვიდრეა ჩვენი სახელმოხვეჭილი მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებისა, რომლებიც ქმნიდნენ და ქმნიან მსოფლიოში უველაზე მოწინავე საბჭოთა მეცნიერებასა და კულტურას. საქართველოს შემოქმედებითი ახალგაზრდობა პირნათლად ახორციელებს იმ მაღალ მოვალეობას, რასაც მას აკისრებენ კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში.

მე დიდი ინტერესით და კმაყოფილებით ვუსმენდი აქ გამოსულ ამხანაგებს. ყველა მათგანი ლაპარაკობდა იმაზე, რაც მას ალელვებს. რაც სურს იმისათვის, რომ ჩვენი საბჭოთა ლიტერატურა და ხელოვნება კიდევ უფრო მალე საფეხურზე ავიდეს. შემოქმედებითს ახალგაზრდობას კარგად ესმის ის ამოცანები, რომლებსაც მას კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა უსახავენ.

მალე ჩვენ აღვნიშნავთ საბჭოთა ხელისუფლების 50 წლისთავის იუბილეს. ჩვენ მიერ განვლილი გზა — ეს ბრძოლა და რთული ცხოვრების გზაა. დღევანდლამდე რომ მოვსულიყავით, მრავალი დაბრკოლების დაძლევა მოგვიხდა. დღეს კი შეგვიძლია სიამაყით განვაცხადოთ, რომ ჩვენი მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და მოწინავე ინტელიგენციის გმირული შრომა ბედნიერ ნაყოფს იმკის.

ჩვენ ხალხს სახელოვანი რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი ტრადიციები აქვს. ამ ტრადიციებზე დაყრდნობით საბჭოთა ხალხმა კომუნისტური პარტიის, დიდი ლენინის პარტიის ხელმძღვანელობით ოქტომბრის რევოლუციის გადაექცია ჩვენი ქვეყანა მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს სახელმწიფოდ, მოწინავე კულტურისა და ხელოვნების ქვეყნად. გვახარებს, რომ ჩვენს ახალგაზრდა შემოქმედებითს ინტელიგენციას კარგად ესმის საბჭოთა კავშირის მიღწევები სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში და დაუფიქრომლად ზრუნავს იმისათვის, რომ პირნათლად შეასრულოს დაკისრებული საპატიო მოვალეობა — თავისი შემოქმედებით ხელი შეუწყოს კომუნიზმის გამარჯვებას ჩვენს ქვეყანაში.

ჩვენი შეხვედრა მარტოოდენ საზეიმო ბასიათს რომ არ ატარებდეს, ნება მიბოძეთ, ამბობს ამბ. მჟავანაძე, თქვენი ყურადღება შევაჩერო ზოგიერთ, ჩემი აზრით, დიდმნიშვნელოვან საზოგადოებრივ და შემოქმედებითს საკითხზე.

### საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების ცხოველმოფფელი ტრადიციები და მათი მნიშვნელობა შემოქმედებითი ახალგაზრდობის ალზრდისათვის.

**მოგეხსენებათ,** რომ საბჭოთა ლიტერატურა და ხელოვნება თავისი შინაარსით, ბუნებითა და მხატვრული ფორმით ჭეშმარიტად ნოვატორული. ეს გასაგებიც არის — ისინი ხომ დიდი ოქტომბრის რევოლუციის პირმშოა და გამარჯვებული მშრომელი კლასების ინტერესებს გამოხატავენ. ამით განირჩევა საბჭოთა ლიტერატურა და ხელოვნება სხვა ეპოქების მხატვრული შემოქმედებისაგან.

თავიანთი არსებობის 50 წლის მანძილზე საბჭოთა ლიტერატურამ და ხელოვნებამ უმდიდრესი და უშესანიშნავესი ტრადიციები შექმნეს და საყოველთაო სახალხო აღიარება ჰპოვეს. მათ კიდევ უფრო გაამდიდრეს მსოფლიო კულტურის საგანძური და უდიდესი გავლენა მოახდინეს ჩვენი ეპოქის მხატვრული შემოქმედების ყველა სფეროზე. ჩვენ კანონიერი სიამაყით ვაცხადებთ, რომ საბჭოთა ლიტერატურა და ხელოვნება ყველაზე მოწინავეა მთელ მსოფლიოში.

საბჭოთა ლიტერატურა და ხელოვნება შემოქმედებაში მაღალმხატვრულად და დამაჯერებლად ასახავა ჩვენი ხალხის გმირული ბრძოლა ლენინური კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებისათვის, ჩვენს ქვეყანაში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს აშენებისათვის, ბრძოლა კომუნიზმის სრული და საბოლოო გამარჯვებისათვის. ამაშია საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების უდიდესი მნიშვნელობა. ჩვენ გვაქვს მხატვრულად ხორცშესხმული, დიდი ლენინის იდეებით გაცისკროვნებული საბჭოთა ეპოქის უკვდავი მატიანე, რომლის საუკეთესო ფურცლები მსოფლიო კულტურის ოქროს ფონდს შეადგენენ.

რევოლუციამდელი ეპოქის ლიტერატურისა და ხელოვნების მთავარ მიმართულებას კრიტიკული რეალიზმი წარმოადგენს. ეს გასაგებიც არის. იმ დროის საუკეთესო მოღვაწენი კარგად ხედავდნენ ფეოდალური და კაპიტალისტური წყობილების უსამართლობას. მის უკურნებელ იარებს. თავიანთ ამოცანად მათ მიაჩნდათ ბრძოლა სოციალური და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ.

სოციალისტური რეალიზმის ძირითადი განსხვავება კრიტიკული რეალიზმისაგან სწორედ ის არის, რომ ეს ახალი მეთოდი, როგორც ამას ჩვენი მწერლებისა და ხელოვნების მოღვაწეთა შემოქმედებითი პრაქტიკა გვიჩვენებს, ემყარება ოქტომბრის რევოლუციის დიად მონაპოვართა აღიარებას, დამკვიდრებასა და დაცვას. ჩვენ ვერ დავასახელებთ ვერც ერთ მნიშვნელოვან საბჭოთა მწერალს, მხატვარს, კომპოზიტორს, თეატრისა და კინემატოგრაფიის მოღვაწეს, რომლის მთელი შემოქმედება ახალი, სოციალისტური ეპოქის დამკვიდრების პათოსით არ იყოს გამსჭვალული. საკმარისია დავასახელოთ გალაკტიონ ტაბიძე და გიორგი ლეონიძე, ლეო ქიაჩელი და კონსტანტინე გამსახურდია, კოტე მარჯანიშვილი და სანდრო ახმეტელი, ნიკოლოზ შენგელაია და მიხეილ ჭიაურელი, იაკობ ნიკოლაძე და უჩა ჯაფარიძე, ანდრია ბალანჩივაძე, ალექსი მაჭავარიანი და ოთარ თაქთაქიშვილი, და ჩვენთვის ნათელი გახდება, რომ უმდიდრესი მხატვრული მემკვიდრეობა, რომელიც ჩვენ მოგვეპოვება, საბჭოთა წყობილების, კომუნიზმის იდეების აღიარებისა და დამკვიდრების სულის

# ოქტომბრის მზის ქვეშ

## ასე ცვდება აფხაზეთი დიად იუბილეს

...რკოლისა და გამარჯვებათა სახელოვანი გზა, რომელიც საბჭოთა ქვეყანამ განვლო და რომელზეც ეროდენ გულშიჩამწვდომად მოთხრობილია სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისებში „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წელი", ეს არის საბჭოთა კავშირის ყველა — როგორც დიდი, ისე პატარა ხალხის, მათ შორის აფხაზი ხალხის გზა. მხოლოდ დიდი ოქტომბრის მეობებით შეძლო აფხაზეთმა მიეღწია ისეთი წარმატებებისათვის თავის პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ განვითარებაში, რომელიც რევოლუციამდე ოცნებაც კი არ შეეძლოთ მას შვილებს.

...ამორჩენილი, ლატაკი, გაჩანაგებული იყო ჩვენი მხარე დიად სოციალურ გარდაქმნათა მიჯნაზე. ახალი ცხოვრების მშენებლებს ბევრი ხიძნელის გადალახვა დასჭირდათ — უნდა შეექმნათ თავისი მრეწველობა ახალ სოციალისტურ საფუძველზე, განვითარებინათ სოფლის მეურნეობა და ეკონომიკის სხვა დარგები, ერთი ასპარეზი გადაეშალათ კულტურისა და მეცნიერებისთვის. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, რუსი, ქართველი ხალხებისა და საბჭოთა კავშირის სხვა ხალხების ძმური დახმარებით აფხაზეთის მშრომელებმა წარმატებით გაართვეს თავი ამ ამოცანებს და ახლა განუხრელად ამრავლებენ თავიანთ წელილს კომუნიზმის მშენებლობის საერთო-სახალხო საქმეში.

...ჯერ კიდევ 1935 წელს მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში მოპოვებული წარმატებებისათვის აფხაზეთი დაჯილდოებულ იქნა ლენინის ორდენით.

...ამჟამად ჩვენს რესპუბლიკას თანამედროვე ინდუსტრიის ბევრი დარგი აქვს. ვ. ი. ლენინის მითითებით შექმნილი მსხვილი ინდუსტრიული ცენტრის— ტყვარჩელის მეშახტეები სამშობლოს სულ უფრო და უფრო მეტ კოქსად ქვანახშირს აძლევენ.

1967 წლის მაისის დამლევს აფხაზეთის ინდუსტრიულ ქალაქ ტყვარჩელის მშრომელებმა ჩვენი ავტონომიური რესპუბლიკის მთელ საზოგადოებრიობასთან ერთად, საქართველოს დედაქალაქ თბილისის, ქალაქების რუსთავისა და ტყიბულის მშრომელთა, ყარაგანდისა და ჩვენი ქვეყნის ქვანახშირის სხვა აუზების მეშახტეთა დელეგაციების მონაწილეობით ზეიმით აღნიშნეს მაღაროელთა პატარა დაბის რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქად გარდაქმნის 25-ე წლისთავი.

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის წლებში ტყვარჩელი აფხაზეთის მუშათა კლასისა და ტექნიკური ინტელიგენციის ეროვნული კადრების შესანიშნავი საქმედლო გახდა. აქ გაიზარდა წარმოების ასობით და ათასობით მოწინავე. დიდი პატივისცემით და ავტორიტეტით სარგებლობენ ტყვარჩელში მაღაროელები— სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი იური შამბა, სოციალისტური შრომის გმირი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი მელიტონ ბიგვავა, გვრიალგამყვანები სიმონ ბახტაძე, ივანე გორელიკოვი, ენერგეტიკოსი ივანე დელბა და სხვა მოწინავენი, რომელთაგან ბევრია კომუნისტი.

აფხაზეთში ფართოვდება ძვირფასი ქიმიური ნედლეულის — ბარიტის დამუშავება. მალე დაიწყება სხვა სასარგებლო წიაღისეულთა მოპოვება, რომლებიც მდიდარია აფხაზეთი. სწრაფი ნაბიჯებით მიდის წინ ჩვენი ენერგეტიკა. რევოლუციამდელ დონესთან შედარებით ელექტროენერგიის წარმოება 600-ჯერ და უფრო მეტად გაიზარდა.

...ძლავრ ტყვარჩელის თბოელექტროცენტრალთან ერთად მთის მდინარეებზე აშენდა მთელი რიგი ჰიდროელექტრსადგურები. ამჟამად სწრაფად მიმდინარეობს ამირკავკასიის ენერგეტიკის ფლაგმანის — მძლავრი ენგურის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა.

ფართოდ ვითარდება კვების, სატყეო, ხელსაწყოთსამშენებლო და ქიმიური მრეწველობა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გადამამუშავებელი მრეწველობის ზრდა. რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედებს ჩაის 11 ფაბრიკა, თამბაქოს საფერმენტაციო ოთხი ქარხანა, თამბაქოს ფაბრიკა, კონსერვების, ეთერზეთების, საფუთავი მასალის ქარხნები. ხუთწლედის წლებში დამატებით ჩადგება მწყობრში ჩაის სამი ახალი ფაბრიკა და მთელი რიგი სხვა საწარმოები.

წარსულში მთლიანი უგზოობის მხარეს აფხაზეთს ამჟამად კეთილმოწყობილი გზებისა და კავშირგაბმულობის განშტოებული ქსელი აქვს. მთლიანად ელექტროფიცირებულია ფოლადის მაგისტრალები. მატულობს მოასფალტებული გზების სიგრძე. განუწყვეტლივ იზრდება ტვირთბრუნვა და მგზავრთა გადაყვანა საზღვაო და საჰაერო ტრანსპორტით. ყველა ქალაქი და ბევრი სოფელი ტელეფონიზებულია.

წარმატებით ვითარდება ჩვენი სოციალისტური სოფლის მეურნეობაც. განუზომლად ამაღლდა მისი კულტურა. გაჩნდა ახალი დიდად შემოსავლიანი დარგები. ჩაის ნარგავების ახლა 12 ათას მექანარზე მეტი ფართობი უჭირავს. მაღალრენტაბელური დარგები გახდა მეციტრუსეობა, მეთამბაქოობა, მევენახეობა.

მიმდინარე ხუთწლედში მწყობრში დგება ახალი დიდი რეზერვები. კოლხიდის დაბლობის მიწებზე, რომელთა დაშრობა მიმდინარეობს, იქმნება ახალი სპეციალიზებული მეურნეობები. ინტენსიურად წარმოებს შრომატევადი პროცესების მექანიზაცია მიწათმოქმედებასა და მეცხოველეობაში. მაგალითად, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მუშაობს 200-მდე ჩაის საკრეფი მანქანა „საქართველო" და ბევრი სხვა ტექნიკა.

აფხაზეთი ცნობილია როგორც სრულიად საკავშირო მნიშვნელობის ჯანმრთელობის კერა, მასობრივი ტურიზმის მხარე. მარტო 60 პროფკავშირულ სანატორიუმში, დასასვენებელ სახლებსა და პანსიონატებში ყოველწლიურად ისვენებს და მკურნალობს 150 ათასი კაცი. ზაფხულის სეზონის პერიოდში რესპუბლიკაში ჩამოდის ახეულ ათასობით ტურისტი.

აფხაზეთში საკურორტო მშენებლობის ტემპები განუწყვეტლივ იზრდება. მიმდინარე საიუბილეო წელს მწყობრში ჩადგება ახალი დიდი კურორტი ბიჭვინთის კონცხზე. მას შეეძლება ერთდროულად 3000 დამლიდი თანამედროვე ქალაქები. ქალაქის მცხოვრებლებისა და ბევრი სოფლის მშრომელთა ყოფაცხოვრებაში მტკიცედ დამკვიდრდა ელექტრობა, რადიო, ტელევიზია. სამუდამოდ გაქრა კვამლიანი ფაცხები. სოფლებში სულ უფრო მეტი რაოდენობით შენდება კაპიტალური საცხოვრებელი სახლები, კლუბები, სკოლები, საავადმყოფოები და პოლიკლინიკები.

შრომითს ბრძოლას არასოდეს არ მიუღწევია ისეთი გაქანებისათვის, როგორსაც ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ცხოვრებაში ღირსშესანიშნავი იუბილესათვის — დიდი ოქტომბრის 50 წლისთავისათვის მზადების დღეებში მიაღწია.

აფხაზეთის ახს რესპუბლიკის, ისევე როგორც მთელი ჩვენი ქვეყნის, მშრომელებმა მომავალი დღესასწაულისათვის დიდი სოციალისტური ვალდებულებანი იკისრეს. წინასადღესასწაულო პერიოდებში ჩაებნენ მრეწველობის საწარმოებისა და ორგანიზაციების, მშენებლობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის, სოფლის მეურნეობის, ვაჭრობის, საყოფაცხოვრებო მომსახურების მუშაკები, რესპუბლიკის ყველა მშრომელნი.

მიმდინარე წლის სამი კვარტალის სამეურნეო შედეგები მოწმობს, რომ აფხაზეთის მშრომელებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ღირსეულად შეასრულონ თავიანთი სიტყვა, ახალი შრომითი საჩუქრები მიუძღვნან სამშობლოს დიდი ოქტომბრის 50 წლისთავისთვის.

წლის დასაწყისიდანვე მაღალი შრომითი ტემპია აღებული. და ეს ყველაზე უკეთ მოწმობს იმას, რომ წარმოების მუშაკთა შემოქმედებითი აქტივობა ასახავს დიდი დღესასწაულის ღირსეულად შეხვედრისადმი მისწრაფებას.

მიმდინარე წლის ცხრა თვის მანძილზე აფხაზეთის ახს რესპუბლიკაში გეგმის გადამეტებით გამომუშავებულია 30 მილიონი კილოვატ-საათი ელექტროენერგია. წარმოებულია 23 ათასი წყვილი ტყავის ფეხსაცმელი, 673 ტონა ხორცი, 2495 ტონა თევზის ნაწარმი, 134 ტონა ფერმენტირებული თამბაქო, 700 ტონა პირველადი დამუშავების ჩაი. გადაჭარბებით შესრულებულია ხორცის, რძის, კვერცხისა და მთელი რიგი სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დავალებანი.

ამ წარმატებათა საფუძველია უწინარეს ყოვლისა პარტიული კომიტეტების, პირველადი პარტორგანიზაციების ორგანიზატორული მუშაობა.

განსაკუთრებით დიდია სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობის შემოქმედებითი, წარმმართველი როლი საბჭოთა ადამიანების მიერ კომუნისტური მშენებლობის გრანდიოზულ ამოცანათა შესრულებაში. ინტერნაციონალური აღზრდის, საბჭოთა ხალხების მეგობრობისა და ძმობის განმტკიცების საკითხები მუდამ უნდა იყოს ჩვენი იდეოლოგიური მუშაობის ცენტრში. ჩვენ ერთი წუთითაც არ ვივიწყებთ, რომ მიღწევები, რომლებიც აფხაზეთის ახს რესპუბლიკის მშრომელებმა მოიპოვეს, შედეგია საბჭოთა ხალხების მუდმივი ურთიერთდახმარებისა. სწორედ რუსი, ქართველი და სხვა მოძმე ხალხების უანგარო მხარდაჭერის მეოხებით აყვავდა აფხაზი ხალხის ეკონომიკა და კულტურა. ჩვენ თვალსაჩინოვით ვუფრთხილდებით და გავუფრთხილდებით ამ ძვირფას მეგობრობას, განვამტკიცებთ მშრომელთა ინტერნაციონალურ გრძნობებს.

მომავალი დღესასწაულის აღსანიშნავად აფხაზეთის მრეწველობის მუშაკებმა ვალდებულება აიღეს ვადამდე — 20 დეკემბრისათვის შესრულონ წლიური გეგმა. სოფლის მეურნეობის მშრომელებმა პირობა დადეს, რომ საიუბილეო წელს სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით მიჰყიდდნენ 1.200 ტონა ხარისხოვან ჩაის მწვანე ფოთოლს, ფაქტიურად გეგმის გადამეტებით მოკრიფეს და მიჰყიდეს ხუთი ათას ტონაზე მეტი ჩაის მწვანე ფოთოლი. მათ ვალდებულება იკისრეს გეგმის ზევით დაამზადონ 500 ტონა ყურძენი, 1.000 ცენტნერი ხორცი, 500 ცენტნერი რძე. პასუხსაგები ვალდებულებანი იკისრეს აგრეთვე მშენებლებმა, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, კულტურის, ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების, კომუნალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურების მუშაკებმა. ეგებებიან რა სახელოვან იუბილეს, აფხაზეთის მშრომელებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ამრავლონ თავიანთი წარმატებანი ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში, მთელი ძალღონე და ენერგია მოახმარონ სკკპ XXIII ყრილობის მიერ, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამით დასახული ამოცანების წარმატებით შესრულებას.

# ხალხთა ძმურ ოჯახში

— ვ. კოგანია,

საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი

## ვინც შრომით თავი ისახელა

აფხაზეთში მრავალად არიან შრომის ვეტერანები, სოციალისტური შრომის გმირები, ლენინის ორდენოსნები. ისინი ენერგიულად, დაუღალავად შრომობენ, დიდი წვლილი შეაქვთ საკავშირო დოვლათის შექმნაში. მათი სასახელო საქმეები სამაგალითოა ყველასათვის, ვისთვისაც ძვირფასია სამშობლო, ახალი ცხოვრება.

სურათებზე: ოჩამჩირის რაიონის სოფელ ღუდის სუფოროვის სახელობის კოლმეურნეობის მოწინავე მეჩაიე სოციალისტური შრომის გმირი მ. ადლეიბა, გალის რაიონის სოფელ ნაბაკევის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის მოწინავე მეჩაიე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ლ. ბაბასხურდია, გუდაუთის რაიონის კოლმეურნეობა „ღურიფშის" მოწინავე მეჩაიე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ს. აბრბა.

# კოჩარელთა გარჯის ნაყოფი

ქათქათა ოდა-სახლები აქ ფართოდ გადაშლილ მწვანე ზღვაში პატარ-პატარა კუნძულებივით ჩანან. კოჩარაში ზღვის ტალღებივით მოლივლივე ჩაის პლანტაციები ბევრ სოფელშია შემოჭრილი. 359 ჰექტარზე მეტი უჭირავს „მწვანე ოქროს" — სიმდიდრის ამ დაუშრეტელ წყაროს, და ყოველ ჰექტარს მთელ საქართველოში სახელგანთქმული კოჩარელი მეჩაიეები ზამთარ-ზაფხულ დაუღალავად დასტრიალებენ თავს. კოჩარის მაღლიანი მიწაც უხვად უდის კოლმეურნეებს ნამაგარს.

ოჩამჩირის რაიონის სოფელ კოჩარის კოლმეურნეობა „საქართველო "ერთ-ერთი პირველი მილიონერია აფხაზეთში. ჩაის მწვანე ფოთლის რეალიზაციით კოლმეურნეობის სალაროში ყოველწლიურად საშუალოდ მილიონ ორასი ათასი მანეთი შემოდის.

კულტურულად და შეძლებულად ცხოვრობს ხალხი ამ მდიდარ კოლმეურნეობაში. საკმარისია ითქვას, რომ კოჩარაში ასამდე ოჯახს უდგას ტელევიზორი, 120-ზე მეტ ოჯახს —გაზქურა, 152 ოჯახს—ტელეფონი, 20-მდე კოლმეურნეს აქვს მსუბუქი ავტომანქანა.

ამ საამურ ცხოვრებას კოჩარელები საბჭოთა ხელისუფლებას, მშობლიურ კომუნისტურ პარტიას უმადლიან. კოლმეურნეობას დღეს 14 სატვირთო და 3 მსუბუქი ავტომანქანა აქვს, 11 ტრაქტორი, 12 ჩაის სასხლავი მანქანა და 6 ჩაის საკრეფი მანქანა „საქართველო".

ადრე იწყება სამუშაო დღე ამ მრავალფეროვან მეურნეობაში, მაგრამ მზის ამოსვლას პირველნი მეჩაიეები ეგებებიან. მზის პირველ სხივებთან ერთად უკვე ჩაის პლანტაციაში არიან. აქაური მეჩაიეები ხომ მოსავლის უდანაკარგოდ აღებისათვის მაღალნაყოფიერი შრომის ერთ-ერთი თაოსნები არიან.

ნაკისრი ვალდებულების აღებულებელი შესრულება კოჩარელთა ღირსების საქმეა.

აი წელსაც, როცა საიუბილეო ვალდებულებებს ისრულობდნენ, კოჩარელმა მშრომელებმა ჯერ აწონ-დაწონეს თავიანთი რეზერვები, და შესაძლებლობაში დარწმუნებულმა მტკიცედ გადაწყვიტეს სამშობლოსათვის 2.260 ტონა ჩაის ნედლეული მიეცათ, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2.015 ტონისა. „წიაღლებს შემოდგომაზე ითვლიანო" — ტყუილად როდია ნათქვამი და ამას წინათ კოლმეურნეობაში შეაჯამეს მიმდინარე წლის ჩაის კრეფის სეზონის შედეგები. გამგეობის თავჯდომარემ გეორგი ფანცულაიამ სიამაყით გამოუცხადა ბრიგადირებსა და მერგოლურებს:

— მომილოცავს, მეგობრებო! შეგიძლიათ დღესვე გადასცეთ ჩვენს სახელოვან მეჩაიეებს, რომ მათი სიტყვა სამუდამ არის ქცეული. ამ საღამოს კოლმეურნეობა „საქართველომ" წლიური გეგმის ზევით ფესამასე ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი ჩაადარა კოჩარის ჩაის ფაბრიკას.

აფხაზეთის ხავერდოვანი შემოდგომა ჯერ ძალაშია. ისევე როგორც ზაფხულის ცხარე დღეებში „მწვანე ოქროს" მომპოვებელი კვლავ დაუღალავი ენერგიით განაგრძობენ მუშაობას. მათ შორის მრავალია ისეთი, რომელმაც თავისი წლიური დავალება ორსამმაგად შეასრულა. ამ ზოგიერთი მათგანია: საკოლმეურნეო შრომის ვეტერანი, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ცაცა ქარდავა, სახელგანთქმული მეჩაიეები — ეთერ ჯაფარიძე, ღები ეთერ და ნუცა ჩუბუები, ეთერ ფიფია, ელენე პაპავა, ვენერა მამარდაშვილი, ბაბუცა მილორავა, ნაზი ჯიქია, ალექსანდრა ბოგველიძე და სხვ.

ცოტა წელილი როდი შეეტანეს საიუბილეო წლის მოსავლის უდანაკარგოდ აღებაში აქაურმა მექანიზატორებმა, რომლებიც ღია წითელი ფერის ჩაის საკრეფი მანქანებით „საქართველოთი" ხომალდებივით მიაპობდნენ პლანტაციების მწვანე ტალღებს.

ცნობამ იმის შესახებ, რომ საქართველოს მეჩაიეებმა წარმატებით გაანაღდეს ჩაის კრეფის წლიური დავალება და ვალდებულება, კოჩარელებს სიხარულით აღტაცა გული.

ამ დიდ საქმეში ხომ მათი მარჯვენის ნაამაგარიც არის.

Ი. ბოგვეჩია,
„კომუნისტის" საკ. კორ.

# ტყვარჩელი დღეს

1942 წლის აპრილში ტყვარჩელელები დიდი სიხარულით შეხვდნენ ცნობას იმის შესახებ, რომ მთავრობამ ტყვარჩელს ქალაქის სახელი მიაკუთვნა.

იმ დროს მუშაობდა ერთი შახტი, მეორე კი შენდებოდა.

მეოთხედი საუკუნე გვაშორებს ამ თარიღს. ისტორიულად ეს ვადა ძალიან მცირეა, ცვლილებები კი მნიშვნელოვანი მოხდა. ტყვარჩელი გახდა აფხაზეთის ინდუსტრიული ცენტრი, რესპუბლიკის ერთ-ერთი ულამაზესი ქალაქი.

ჩვენი ქალაქის ქვანახშირის მრეწველობის მუშაკებმა კარგად დაიწყეს 1967 სამეურნეო წელი. ყველა შახტი კარგად იყო მომზადებული სახელმწიფო პროგრამის შესრულებისათვის. შეჯიბრებაში დაწინაურდა № 1 შახტის (უფროსი ამხ. რ. ბოცვაძე, პარტიული ორგანიზაციის მდივანი დ. მირცხულავა, საშახტო კომიტეტის თავმჯდომარე ე. კვარაცხელია) კოლექტივი, რომელმაც 9.5 თვეში გეგმის გადამეტებით ამოიღო 8.000 ტონა ქვანახშირი ნაცვლად სოციალისტური ვალდებულებით ნაკისრი 1.700 ტონისა. აგრეთვე კარგად იმუშავეს №№ 3, 5 და 6 შახტების კოლექტივებმა.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ კოლექტივებმა ყველა ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლები შეასრულეს.

მიმდინარე წლის შუახანებში ტყვარჩელის შახტების ფონდი გამდიდრდა კიდევ ერთი საწარმოოერთეულით: საექსპლოატაციოდ გადაეცა ახალი შახტი № 8.

შახტებში მოპოვებული მთელი ქვანახშირის გამდიდრება ხდება ტყვარჩელის ცენტრალურ გამამდიდრებელ ფაბრიკაში. ამ საწარმოს (დირექტორი ამხ. მ. ლაბახუა, მთავარი ინჟინერი გ. ეფრემოვი, საფაბრიკო კომიტეტის თავმჯდომარე შ. ხოჯავა) კოლექტივმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია. ფაბრიკა მაღალხარისხოვან კონცენტრატს აწვდის რუსთავის მეტალურგიულ ქარხანას.

მუშაობის თანამედროვე პირობებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება წარმოების შრომატევადი პროცესების ავტომატიზაციისა და მექანიზაციის საკითხებს.

ტყვარჩელის ქვანახშირის ტრესტის შახტებში წარმატებით მუშაობენ ქვანახშირის მომპოვებელი კომბაინები კ-52 მ ტიპისა, № 6 და № 5 შახტებზე მუშებს მომსახურებას უწევენ სავარძლის ტიპის მაწისქვეშა საბადგირო გზები. ასეთი ტიპის გზებს პირველად იყენებენ სსრ კავშირში მიწისქვეშა პირობებში. ავტომატიზებულია 24 კონვეიერული ხაზი, 19 სატუმბავი დანადგარი, დადგმულია 16 ავტომატური ანალიზატორი, რომლებიც განუწყვეტელ კონტროლს უწევენ შახტის ატმოსფეროს, დანერგილია 16 ავტომატური ფიქალსაფარი შახტის უსაშიშროების ასამაღლებლად.

წიაღში ქვანახშირის დანაკარგების შესამცირებლად № 5 შახტში მიმდინარეობს მოძრავი დამცავი ფარის გამოცდა და შრეების ამოღება კომბინირებული სისტემით — მოქნილი გადახურვის გამოყენებით.

ადგილობრივი განიავების ვენტილატორებზე ეწყობა ყრუ-სანგრევებში შემოსული ჰაერის მართვისა და კონტროლის აპარატურა, ამით ამაღლდება სანგრევებში მუშაობის პირობების უსაშიშრობა.

ცენტრალურ გამამდიდრებელ ფაბრიკაში ამ მიმართულებით დიდი მუშაობა გაწეული. დამონტაჟდა და ამუშავდა ვაკუუმ-ფილტრი, რაც შესაძლებელს გახდის მომავალში მნიშვნელოვნად შემცირდეს ლამი და გადიდდეს კონცენტრატის გამოსავლიანობა.

გაწეულია დიდი მუშაობა მზა პროდუქციის მაკუმულირებელი ბუნკერების ამოგებისათვის, რამაც მნიშვნელოვნად გაადიდა ბუნკერების სასარგებლო ფართობი.

ჩვენი ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლების გაუმჯობესების საქმეში დიდ დახმარებას გაწევენ რაციონალიზატორები, წარმოების ნოვატორები.

მიმდინარე წელს მათგან შემოვიდა 197 რაციონალიზატორული წინადადება, რომელთაგან 118 დანერგა, და მიღებული ეკონომია 204 ათას მანეთს შეადგენს.

მცირე მუშაობა როდია გაწეული საცხოვრებელი დაბების კეთილმოწყობისათვის: ყვინანის ზემო მოედანზე გაშენდა სკვერი, აკარმარისა და ყვინანის ზონის ბევრი ქუჩის პირას დარგულია ხეები, დამატებით განათდა ქალაქის ქუჩები. შეთეთრდა და შეიღება სახლების ფასადები, კეთილმოწყობილია ეზოები. ბევრ ეზოში ჩვენი ქვეყნის დიდი ქალაქების მაგალითისამებრ მოწყობილია სბავშვო მოედნები, მოეწყო საშახტე ეზოების ტერიტორიების გაწმენდა და გამწვანება.

ქალაქში დადგმულია მონუმენტები, ტყვარჩელის ქალაქის მიჯნაზე — მეშახტის ქანდაკება. კულტურის სახლთან გაიხსნა შოთა რუსთაველის ძეგლი, აკარმარაში დადგმულია ტყვარჩელის სიმდიდრის პირველადმომჩენის ბარელიეფი.

შეკეთდა ავტოგზები, სასტუმროები, საზოგადოებრივი კვების წერტილები. მოწესრიგდა შახტების ზედაპირი. გაანთება, განხორციელდა მოედნების, ადმინისტრაციულ-საყოფაცხოვრებო კომბინატების გამწვანება.

ვ. ღვინჯილია,
ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის მმართველი.

# საიუბილეო სეზონი

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის შესასვლელად მზადება სოხუმის ჯანბას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის აფხაზურმა და ქართულმა დრამამ ჯერ კიდევ გასული წლიდან დაიწყო.

აფხაზურმა დრამამ სეზონი მ. ლაგვილავასა და გ. სულიკაშვილის პიესით — „აბრსკილით" გახსნა. ამ დღეებში კი წარმოდგენილ იქნება საიუბილეო პრემიერა. ეს არის გ. გაბუნიას პიესა — „მზის ამოსვლის წინ". სპექტაკლს დგამს თბილისის თეატრალურ ინსტიტუტში აღზრდილი რეჟისორი ხ. ჯოაუა.

აფხაზი მსახიობები მიმდინარე სეზონში გარდა ეროვნული პიესებისა დადგამენ უ. შექსპირის — „მარია სტიუარტს", გოგოლის „რევიზორს" და სხვ. ამავე დროს თეატრი ემზადება აფხაზეთის ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადისათვის, რომელიც 1968 წელს გაიმართება ქ. თბილისში.

ქართული დრამის მთავარ რეჟისორად წელს თბილისიდან მოწვეულია საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, რეჟისორი ი. კაკულია. ქართული სეზონებელი მიიღოს. მიმდინარე წლის ახალშენებათა შორის არის კიდევ ერთი ჯანმრთელობის კერა გაგრაში, ტურისტული ბაზები სოხუმსა და ახალ ათონში. გარდა ამისა, შენდება პანსიონატები, სასტუმროები, კემპინგები, კეთილმოწყობილი ხდება ობიექტები, რომლებიც ტურისტებს იზიდავენ, მათ შორის უნიკალური კომპლექსი ახალ ათონში, სადაც ყველაზე ვრცელი მღვიმეებია ევროპაში და უბადლო ისტორიული ძეგლები. „ბალე გაჩნდება ახალი კურორტი — ალპური გაგრა, სადაც მოყვარულებს შეეძლებათ ზაფხულობითაც მისხდონ სათხლამშურო სპორტს.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ზრუნვა ხალხის კეთილდღეობისათვის გამოხატულებას პოულობს საბინაო მშენებლობის მზარდი მოცულობით, კულტურისა და განათლების, სახალხო ჯანმრთელობის დაცვის განვითარებით. აფხაზეთი, სადაც რევოლუციამდე წერა-კითხვის მცოდნე ადამიანები ადგილობრივი მოსახლეობიდან ერთეულები იყვნენ, წერა-კითხვის მთლიანი მცოდნეობის მხარე გახდა. ამჟამად რესპუბლიკაშია 440-ზე მეტი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა, მათ შორის მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლები, ორი უმაღლესი და მთელი რიგი საშუალო სპეციალური სასწავლებლები. ფართოვდება კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების — ბიბლიოთეკების, კლუბების, კინოთეატრების ქსელი.

კარგი სახელი მოიპოვეს სოხუმის დრამატული თეატრის, ფილარმონიის, სიმდერისა და ცეკვის ანსამბლის კოლექტივებმა. ნაყოფიერად მუშაობენ აფხაზური ლიტერატურისა და სახვითი ხელოვნების მოღვაწეები. რესპუბლიკის თექვსმეტ სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებაში, რომელთა შორის არის სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ექსპერიმენტული პათოლოგიისა და თერაპიის მსოფლიოში ცნობილი ინსტიტუტი, მუშაობს 26 მეცნიერებათა დოქტორი და 600-მდე მეცნიერი თანამშრომელი.

სრულიად იცვალა სახე ჩვენმა ქალაქებმა და სოფლებმა. რევოლუციამდე თვით სოხუმი და გუდაუთიც კი წაგაგიდნენ დაბებს, ჭუჭყიანი და კეთილმოუწყობელი იყვნენ. ამჟამად ესენია მწვანეში ჩაფლული დიდი, რომელიც უმთავრესად ახალგაზრდა მსახიობებისაგან შედგება, მიმდინარე სეზონში უმთავრესად იმუშავებს ქართულ ეროვნულ პიესებზე.

ახალი სეზონი ქართულმა თეატრმა ახალი დადგმით გახსნა. მაყურებელმა გულთბილად მიიღო დრამატურგ ა. გეწაძის პიესა „წმინდანები ჯოჯოხეთში". სპექტაკლის დადგმა ეკუთვნის რეჟისორ ი. კაკულიას; მხატვრული გაფორმება — ე. კოტლაროვს, მუსიკალური გაფორმება კომპოზიტორ მ. ბერიკაშვილს.

მთავარ როლებს ასრულებენ მსახიობები გ. ნინიძე, თ. ბოლქვაძე, ნ. ყიფიანი, ლ. ფილფანი, მ. გვალია, ნ. მასხულია, გ. რატიანი, ნ. მამალაძე, ა. ნუცუბიძე, შ. გაბელაია, ს. შაქარია, ჯ. ფილფანი, ი. რობაქიძე, ნ. ბექაური, ნ. ქარსანიძე და სხვ.

1967-68 წლების თეატრალურ სეზონში ქართული დრამა დადგამს ო. ჩხეიძის „ჩვენ ნებიერ ბიჭს", ო. იოსელიანის „მოჯადოებულ კუნძულს", ი. კაკულიას „ტრაგედიას მთაში", კ. გამსახურდიას „მთვარის მოტაცებას" და სხვ.

ნ. მიქაშავიძე.

სურათზე: სოხუმის ს. ჯანბას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის შენობა.
ფოტო შ. ჩხეტიანისა.

# დროშაზე კიაფობს ლენინის ორდენი

ბევრი სასიხარულო დღეები ახსოვთ გუდაუთის რაიონის სოფელ დურიფშის კოლმეურნეებს, მაგრამ ის დღე, როდესაც ჩვენს კოლმეურნეობას ლენინის ორდენი გადაეცა, მარად დაუვიწყარი იქნება.

საბჭოთა მთავრობის მიერ დურიფშელთა შრომის ესოდენ მაღალმა შეფასებამ დიდი სიხარული და აღფრთოვანება გამოიწვია სოფელში.

ოქტომბრის დიადი დღესასწაულის ღირსეულად შეხვედრისათვის შრომითს ვახტზე დადგა დიდი და პატარა.

ჯერ კიდევ საიუბილეო წლის დასაწყისში ჩვენმა მეჩაიეებმა გადაწყვიტეს სახელმწიფოსათვის 1.950 ტონა ჩაის ფოთოლი მიეყიდათ — 50 ტონით მეტი, ვიდრე გეგმით. ეს ამ გათვალისწინებული. დურიფშელმა მშრომელებმა სიტყვა საქმედ აქცეს. გეგმის ზევით სამშობლოს მისცეს 150 ტონა „მწვანე ოქრო".

დალოცვილია ჩვენი კოლმეურნეობის წევრთა მარჯვენა. ავიღოთ თუნდაც აფხაზეთში ცნობილი ჩაის მრეწველი, მეოგოლური **დიმიტრი ხუპორია.** წელს მის ანგარიშზე 8.050 კილოგრამი „მწვანე ოქროა". მთლიანად რგოლს კი მოკრეფილი აქვს 38.150 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, რაც თითქმის 5 ტონით აღემატება გეგმას.

ვინ არ იცნობს გუდაუთის რაიონში სახელმოხვეჭილ ადამიანს, კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელს, **ნ. არძინბას?** ზედიზედ მესამე წელია ეს ბრიგადა კოლმეურნეობის გარდამავალ წითელ დროშას ინარჩუნებს. საკმარისია ითქვას, რომ აქ საშუალოდ ჰექტარზე 7 ტონა ჩაის ფოთოლი მოჰყავთ. საიუბილეო წლის მაღალი მოსავლისათვის ბრძოლის ინიციატორად კოლმეურნეობაში ამ ბრიგადის წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი **ს. აგრბა** გამოიდა.

საყოველთაო დღესასწაულს ლამაზად მორთული ეგებები სოფელ დურიფში. მისი ცენტრი ამჟამად ქალაქის ტიპის დაბას მოგაგონებს. ლენინის ორდენოსან კოლმეურნეობაში ოლტურული ცხოვრება ჩქეფს. აქ აშენებულია სკოლები, საავადმყოფოები, კოლტურის სახლი, სასადილო და სხვა კოლტურულ-საყოფაცხოვრებო ნაგებობანი.

დურიფშელთა ყოველი ოჯახი ხარობს დოვლათით.

ვ. ლაკოია.

**გუდაუთის რაიონის სოფელ დურიფშის ლენინის ორდენოსანი კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.**

# ახალი გზახიდი ქუთაისში

დღიდმა აკაკიმ ქუთაისს „სავარდო და სამაისო“ უწოდა. მაშინ იგი ამ სახელს მხოლოდ ბუნებრივი სიკოცტაგვიოა და მდუბარეობით იმსახურებდა.

დღეს სულ სხვაა საქართველოს მეორე ინდუსტრიული ცენტრი — ქუთაისი. აბა ერთი თვალი გადაავლეთ მის ფართო ულამაზეს პროსპექტებს, ქუჩებს, მოედნებს... სხვ იცვალა ყველა უბანმა. ამ ქალაქის ფაბრიკა-ქარხნების პროდუქცია დღეს არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ საზღვარგარეთაც მოწონებით სარგებლობს.

ქუთაისური ავტომობილები სერაგენ ჩვენი ქვეყნის საგზაო მაგისტრალებს, ტრაქტორები გეგუნებენ საკოლმეურნეო მინდვრებში, ლენინის მიერ ქუთაისელი მშრომელებისათვის ნაჩუქარი მაუდის ფაბრიკის ნაწარმი მიტოქეობას უწევს უცხოეთის პროდუქციას...

ვინც ომამდე ამ ქალაქში ყოფილა, ახლა მას ვერ იცნობს, ისე გადიდდა, გალამაზდა, დაგაკაცდა ქალარა ქუთაისი.

თურმე ქუთაისში რევოლუციამდე სამი ხიდი — ჯაჭვის, წითელი და თეთრი ხიდები იყო. ახლა მათ მხოლოდ სახელები შემორჩათ. იმ ადგილებზე ახალი ხიდები აშენეს, რომლებიც ყველა დიდ ქალაქსაც კი დაამშვენებდა. შემდეგ ისე გაიზარდა ქალაქმა, რომ ბალახვანში აუცილებელი გახდა ხიდის აგება, რომელსაც ქუთათურებმა ახალი ხიდი დარქვეს.

ქალაქის ზრდასთან ერთად იზრდება მისი სასიცოცხლო არტერიები. ქუთაისისათვის საკმარისი არ აღმოჩნდა ის ოთხი ხიდი, რომელიც ქალაქის მოსახლეობის მოთხოვნილებას აკმაყოფილებდა. გუშინწინ ქუთაისელმა მშრომელებმა საოქტომბროდ ახალი საჩუქარი მიიღეს — საზეიმოდ გაიხსნა ახალი გზახიდი. ამასთან დაკავშირებით გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტი ბ. ბახტურიძე ტელეფონით. დაუკავშირდა ქუთაისის ქალაქის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილეს, მ. მამფორიას და სთხოვა მოეთხრო ამ გზახიდზე. აი რა თქვა მან:

— კარგი საჩუქარი მიიღეს ქუთაისელმა მშრომელებმა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის დღესასწაულისათვის. კოპწია ქუთაისი დაამშვენა კიდევ ერთმა შესანიშნავმა ნაგებობამ — გზახიდმა. 28 ოქტომბრის ნაშუადღევს მრავალმა ქუთაისელმა, თბილისიდან და მეზობელი რაიონებიდან ჩამოსულმა სტუმარმა მოიყარა თავი ჭავჭავაძის პროსპექტისა და გორის ქუჩის გადაკვეთაზე, სადაც აიგო გზახიდი.

დღის 4 საათზე საქართველოს კომუნისტური პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა შ. კობახიძემ მიულოცა ქუთაისელებს ეს შენაძენი და გაჩერა წითელი ლენტი. გზახიდის ქვეშ ტაშის გრიალში გამოჩნდა ქუთაისელ ავტომშენებელთა უკანასკნელი ნამუშევარი — ავტომატარებელი „კოლხიდა“, რომელსაც მართავდა პირველი ქართული ავტომობილის გამომცდელი მძღოლი ბ. ჯაშაკიძე.

გზახიდის ქვეშ გადის რკინიგზის ლიანდაგი, აგრეთვე გზატკეცილი, რომელზეც დასრიალებენ ავტომანქანები და ტროლეიბუსები. ინჟინერ-კონსტრუქტორ ა. აბრამიდისა და არქიტექტორ დ. ლეონიძის პროექტით აშენებული გზახიდი საოველთაო მოწონებით სარგებლობს. იგი ლამაზია და კარგად ეხამება ადგილმდებარეობას. გზახიდის საექსპლოატაციოდ გადაცემის შემდეგ კიდევ უფრო გაუმჯობესდა ქალაქის ტრანსპორტის მუშაობა. ქუთაისელებს ყოველთვის ემახსოვრებათ ის ადამიანები, რომლებიც ენერგიის დაუზოგავად მუშაობდნენ ამ არქიტექტურულ ნაგებობაზე.

ქუთაისელი მშრომელების თხოვნით გზახიდს დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის სახელი მიენიჭა.

**სურათზე:** ახალი გზახიდი ქუთაისში.

ფოტო ჯ. ფეხაძისა.
(საქდესის ფოტოქრონიკა).

# მხცოვანი მეცნიერის იუბილე

85 წელი შეუსრულდა საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ი. გ. კონიაშვილის სახელობის კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეს, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს პროფესორ დიმიტრი ვასილის-ძე ჯავახიშვილს. საქართველოს უხუცესმა კურორტოლოგმა 60 წელი მოსმარა მეცნიერულ, პედაგოგიურ, სამკურნალო და საზოგადოებრივ მოღვაწეობას.

23 ოქტომბერს სანკუულტურის თეატრში გაიმართა პროფესორ დ. ვ. ჯავახიშვილის დაბადების 85 წლისთავისა და შემოქმედებითი მოღვაწეობის 60 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სხდომა. სხდომა მოიწვიეს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ, კურორტოლოგთა და თერაპევტთა რესპუბლიკურმა და თბილისის სამეცნიერო საზოგადოებებმა, საქართველოს კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა.

სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა ლ. საყვარელიძემ.

მოხსენება „დ. ვ. ჯავახიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა“ წაიკითხა საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის კურორტოლოგიის კათედრის გამგემ, მეცნიერების დამსახურებულმა მოღვაწემ, პროფესორმა გ. წითლანაძემ.

საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სახელით იუბილარს მიესალმა რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილე ე. ღლონტი.

საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭოს დავალებით მისალმება წაიკითხა საქართველოს პროფსაბჭოს მდივანმა ო. ცანავამ. რესპუბლიკის მთავარმა ფიზიოთერაპევტმა, მეცნიერების დამსახურებულმა მოღვაწემ, პროფესორმა მ. ნოდიამ საქართველოს კურორტოლოგთა და ფიზიოთერაპევტთა რესპუბლიკური საზოგადოების სახელით. საქართველოს სახელით მეცნიერს მიულოცა იუბილე.

საქართველოს კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის კოლექტივის სახელით მსოფლიო მეცნიერს მიესალმა პროფესორი შ. ფარჯანაძე.

შემდეგ იუბილარს მოიმე რესპუბლიკების კურორტოლოგთა სახელით მიესალმნენ აზრბაიჯანის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კიროვის სახელობის კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის ინსტიტუტის დირექტორი დოცენტი ა. პუსაინოვი და სომხეთის სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს აკოფიანის სახელობის კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორი პროფესორი გ. აბაჯანიანი.

რუსეთის სფსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სოჭის კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის ინსტიტუტის კოლექტივის მისასალმებელი ადრესი იუბილარს გადასცა მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატმა გ. წვერიანიშვილმა.

კურორტ ახტალის კოლექტივის სახელით იუბილარს მიესალმა კურორტის დირექტორი გ. ხელაშვილი. გორის რაიონის სამედიცინო საზოგადოებრიობის შილოცვა წაიკითხა გორის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების გამგემ. საქართველოს დამსახურებულმა ექიმმა ნ. ხერხეულიძემ. დ. ვ. ჯავახიშვილის მშობლიური სოფლის ძველის მცხოვრებთა სახელით მეცნიერს მიესალმა გორის რაიასაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე შ. მახარაშვილი.

შემდეგ წაიკითხეს მრავალი დეპეშა, რომლებიც იუბილარმა მიიღო ჩვენი ქვეყნის ბევრი ქალაქიდან.

სხდომაზე გამოსულმა პროფესორმა დ. ვ. ჯავახიშვილმა მხურვალე მადლობა გადაუხადა შეკრებილთ.

საიუბილეო სხდომაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი დ. სტურუა, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. სირაძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლებელთა განყოფილების გამგე დ. ლაშქარაძე, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანი ვ. სალუქვაძე. (საქდესი).

## თქვენთვის ცნობისმოყვარეთ

### უველგანეკეკელი ავტობუსი

**მციერალიტრანზიან** ავტობუსების ოჯახს შეემატა ახალი ავტობუსი. ულიანოვსკის ავტოქარხნის კონვეიერიდან გადმოვიდა ახალი მანქანების უას-452 ვ პირველი პარტია.

ახალ ავტობუსში, იუწყება საკდესის კორესპონდენტი, ორის ათი მგზავრის ადგილი. ჩვეულებრივზე უფრო აწეული ძარა, აგრეთვე წინა და უკანა ხიდები, ამ მანქანას უფლებას აძლევს ეწოდოს ყველგანმავალი.

### ულაბნის ოქრო

**ტასკორის ხეობაში, რომელიც ბალხაშის ტბის ჩრდილოეთ სანაპიროს შახლობლად უდაბნოში მდებარეობს, ყაზახმა გეოლოგებმა აღმოაჩინეს ოქროს საბადო, იუწყება საკდესის კორესპონდენტი ალმა-ატიდან. მნიშვნელოვან ფართობზე კეთილშობილი ლითონის შემცველი მთის ქანები ზედაპირზე ამოდის.**

# „საქართველოს აგიტატორის“ საიუბილეო ნომერი

**გამოვიდა** საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების ჟურნალ **„საქართველოს აგიტატორის“** მორიგი, მეოცე და ოცდამეერთე გაერთიანებული ნომერი, რომელიც მთლიანად მიძღვნილია დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისადმი.

ჟურნალში დაბეჭდილია: **მოწინავე** წერილი — ოქტომბრის იდეების ზეიმი; ჩვენი ეპოქის გონება, ღირსება, სინდისი; გამოქვეყნებულია სტატიები: საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი **რ. ფრუიძე** — საქართველო ინდუსტრიულ რელსებზე; საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი **შ. ჭანუყვაძე** — სოფლის მეურნეობის გარდაქმნის ლენინური იდეების გამარჯვება; საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლო დაწესებულებათა განყოფილების გამგე **დ. ლაშქარაძე** — აყვავებული კულტურის რესპუბლიკა. მოთავსებულია აგრეთვე წერილები: სოციალიზმის გაძარჯვება სსრ კავშირში; საიუბილეო შრომითი სანუქრები სამშობლოს; რანი ვიყავით, რანი ვართ; ოქტომბრის შუქით გაბრწყინებული საბჭოთა საქართველო; თანასწორთა კავშირი; **მ. არაშიძე** — ტეტურის პირას; სოციალიზმი და მშრომელთა კეთილდღეობა; **მ. დიაკონიძე** — ახსოვს ქერანას მთას; **კ. დოლიძე, ზ. მაისაია** — ასე მკვიდრდებოდა კომუნისტური იდეებისადმი ერთგულება; **დ. აბუთიძე** — ცხოვრების მხარდამხარ; **ა. ალლაძე** — ახალი ადამიანი ოქტომბრის დიდი მონაპოვარია; ძლიერდება მსოფლიო სოციალისტური სისტემა; 50 წელი, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო; კაპიტალიზმი და მშრომელთა სიდუხჭირე განუყოფელია; ჩვენ ვაშენებთ კომუნიზმს; საქართველო მსოფლიო ბაზარზე.

ჟურნალი უხვად ილუსტრირებული და კარგად გაფორმებულია.



# „დინამო“ — „პარტიზანი“ 1:0 (1:0)

24 ოქტომბერი. თბილისის „დინამოს“ სტადიონი. მსაჯი — ი. ბოჩარიოვი (მოსკოვი).

„დინამო“ — კოტრიკაძე, რეხვიაშვილი, ჭელიძე, კანთელაძე, ბეტრიაშვილი, კუტვიძე (დათუნაშვილი), ასათიანი, მეტოფელი, გაგაშელი, ნოდია, მესხი; „პარტიზანი“ — ლუბარცევი, დოცენკო, შტარნი, ნაუმენკო, ინოიატოვი, იუნუსოვი, სოლოსო, იბრაკიმოვი, ბეკეთაშვილი, კრასნიკი, ადფერაიმოვი.

**ხუთიოდე** ტური გვაშორებს ჩემპიონატის ფინიშს. როგორც ვხედავთ დისტანციია არც თუ დიდია. საქმე ისე წარიმართა, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხები ჯერ კიდევ გადაუჭრელი რჩება. მოსკოვის თუ კიევის „დინამო“? — აი როგორ გამოიყურება ოქროს მაძიებელთა დუეტი. რაც შეეხება ბრინჯაოს, მასზე ერთბაშად სამი კოლექტივი — თბილისის „დინამო“, მინსკელი თანამოგუნდეები და დონეცკის „შახტიორი“ აცხადებს პრეტენზიას.

ცხადია, ასეთი ვითარებაში ყოველ ტურს არსებითი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენლებისათვის, არამედ აუტსაიდერებისათვისაც. ამიტომ სავსებით გასაგებია ის სიმაფაფრე, რომელიც დღესდღეობით ფინიშს ახასიათებს. ამ მხრივ არც თბილისის „დინამოსა“ და ტაშკენტის „პახტაკორის“ გუშინდელი მატჩი იყო გამონაკლისი. ბევრს ნერვიულობდნენ და სცოდავდნენ ფეხბურთელები.

დასაწყისში „პახტაკორის“ კარი განუწყვეტელ ბომბარდირებას განიცდიდა. მესხის ფლანგიდან გასვლები და ჩაწოდებები მოსვენებას არ აძლევდნენ მეკარე ლუბარცევს. შემდეგ სტუმრებმა ამოისუნთქეს, ახლა უკვე დინამოელთა საჯარიმო მოედანზე სულ უფრო ხშირად ვხედავდით კრასნიციკის, აბდურაიმოვს, ბეკეთაშვილს, იბრაკიმოვს.

# მხოლოდ ერთი გოლი

ასეთი ვითარებაში ყოველ ტურს არსებითი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენლებისათვის, არამედ აუტსაიდერებისათვისაც. ამიტომ სავსებით გასაგებია ის სიმაფაფრე, რომელიც დღესდღეობით ფინიშს ახასიათებს. ამ მხრივ არც თბილისის „დინამოსა“ და ტაშკენტის „პახტაკორის“ გუშინდელი მატჩი იყო გამონაკლისი. ბევრს ნერვიულობდნენ და სცოდავდნენ ფეხბურთელები.

დასაწყისში „პახტაკორის“ კარი განუწყვეტელ ბომბარდირებას განიცდიდა. მესხის ფლანგიდან გასვლები და ჩაწოდებები მოსვენებას არ აძლევდნენ მეკარე ლუბარცევს. შემდეგ სტუმრებმა ამოისუნთქეს, ახლა უკვე დინამოელთა საჯარიმო მოედანზე სულ უფრო ხშირად ვხედავდით კრასნიციკის, აბდურაიმოვს, ბეკეთაშვილს, იბრაკიმოვს.

## მატჩები და შედეგები

**ბუშინ** გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის კიევის სამი მატჩი ფეხბურთში.

**სსრ კავშირის** ჩემპიონი კიევის „დინამო“ საკუთარ მოედანზე თამაშობდა მოსკოვის „ლოკომოტივის“ წინააღმდეგ და გაიმარჯვა 1 : 0.

**მოსკოვში** ერთმანეთს შეხვდნენ დედაქალაქის „ტორპედო“ და ოდესის „ჩერნომორეცი“. წარმატება სტუმრებს ხვდათ 2:1.

**მატჩი** ალიბაშევში „ვილია სოვეტოვისა“ და ერევნის „არარატის“ გუნდებს შორის დამთავრდა ფრედ — 0:0.

## რ. ფიშერი — ლიდერი

**ორშაბათს** ტუნისში გათამაშდა გამოტოვებული ორი გადადებული პარტიები. **რ. ფიშერმა** მოიგო **მ. კუელარს. ხ. რეშევსკი** და **ლ. კავალეკი** ყაიმზე შეთანხმდნენ. ყაიმით დამთავრდა **ბ. მეკინგისა** და **ლ. ბარაცის** გადადებული პარტია.

6 ტურის შემდეგ ლიდერია **რ. ფიშერი** — 5 ქულა. **ვ. გორტს** — 4,5 ქულა აქვს.

# ჯ. ტაბატაძე



**ბარდიცა**ლა საქართველოს სსრ დამსახურებულ ინჟინერი, ტექნიკურ შეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი კონდრატ (კოტე) ტიმოშეს-ძე ტაბატაძე.

ჯ. ტაბატაძე დაიბადა 1896 წელს სოფელ მარელისში. 1931 წელს წარჩინებით დაამთავრა მოსკოვის სამოწამომწყობი ინსტიტუტი. იგი 36 წელიწადს სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდა.

1946 წლიდან გარდაცვალებამდე ჯ. ტაბატაძე იყო საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ბეტონიანი ნაგებობათა და საამშენებლო ნივთიერებათა ტექნოლოგიის კათედრის წევრი, კათედრის ლექციებს უმაღლეს ტექნიკურ სკოლებში, ინსტრუქციებს ინდუსტრიულ საწარმოებში.

1946 წელს ჯ. ტაბატაძემ წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია მოსკოვში და 1948 წელს დაამტკიცეს დოცენტად. ასევე წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია 1963 წელს, ხოლო 1964 წელს მიენიჭა პროფესორის წოდება.

ჯ. ტაბატაძის ჯალამს ეკუთვნის ოცდაათამდე სამეცნიერო შრომა. ქართულ ენაზე მან პირველმა შექმნა უაღრესად საჭირო და ორგინალური სახელმძღვანელო უმაღლეს ტექნიკურ სკოლებისა (ორ ტომად), დაბეჭდა საინჟინრო თვალთხედვით შედგენილი სფერული ტრიგონომეტრია და მუშაობდა ინსტრუქციებზე, ინსტრუქციებზე ბეტონის შედგენაზე.

სამეცნიერო-კვლევითი და პედაგოგიური მოღვაწეობის პარალელურად ჯ. ტაბატაძეს მუდამ ჰქონდა კავშირი წარმოებასთან. იგი იყო მიწათმომწყობი, ჯანმრთელობის სამინისტროს კურორტთა მთავარი სამმართველოს მიწათმომწყობი ნაწილის უფროსი და შემდეგ ტოპოგრაფიული სექტორის ხელმძღვანელი, თბილისის აგეგმვის სამუშაოთა უფროსი და შემდეგ „საქმონუპროექტის“ ბეოდეზიური განყოფილების უფროსი. ჯ. ტაბატაძე აგებდა სხვადასხვა ქალაქების ბეოდეზიური საფუძვლებისა და გვირაბების გაყვანის მრავალი პროექტისა, რომელთა განხორციელება მისი შუშაოლ მონაწილეობით მოხდა. მის მიერ არის დამუშავებული თბილისის მეტროპოლიტენის ბეოდეზიური დასაყრდენის პროექტი, რომლის საფუძველზე შედგა სამარკშეიდერო სამუშაოთა პროექტი.

ჯ. ტაბატაძე იყო კარგი საზოგადოებრივი მუშაკიც, მიღებული ჰქონდა მთავრობის მრავალი ჯილდო.

ჯ. ტაბატაძე თავისი გულიხსმიერებით, პატიოსნებით, გულწრფელობით, შრომისმოყვარეობით ყოველთვის იყო სანმუშო ადამიანი და ასეთივე დარჩება მისი სახე მეგობართა და მოწაფეთა გულში.

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი პოლიტექნიკური ინსტიტუტი.

# საქართველოს სსრ

## ... ტ ა ნ ი ს მ ო ხ ს ე ნ ე ბ ა

ნიუ-იორკი. 24 ოქტომბერი. (საკდესის სპეც. კორ). უშიშროების უზრუნველყოფის პრობლემას ვერ გადაჭრით იმ სახელმწიფოთა რიცხვი გაზრდით, რომლებსაც ატომური იარაღი აქვთ, ვერც იმით, რომ ატომური იარაღი შეინარჩუნონ სახელმწიფოებმა, რომლებსაც ახლა აქვთ იგი, ნათქვამია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მოხსენებაში, რომელიც შეეხება ატომური იარაღის შესაძლო გამოყენების შედეგებსა და უშიშროების პრობლემებს და ეკონომიურ პრობლემებს, რომლებიც დაკავშირებულია ამ იარაღის შემენასა და შემდგომ განვითარებასთან.

ეს მოხსენება მამაზადა 12 სპეციალისტისგან შემდგარმა ჯგუფმა, რომლებიც გენერალურმა მდივანმა დანიშნა და რომელშიც შედიოდნენ სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთის, პოლონეთის, ინდოეთისა და სხვა ქვეყნების სპეციალისტები.

შეთანხმება ატომური იარაღის გავრცელების თავიდან აცილების შესახებ, აღნიშნულია მოხსენებაში, მძლავრი ნაბიჯი იქნება სწორი მიმართულებით ისევე, როგორც შეთანხმება არსებულ ატომურ არსენალთა შემცირების შესახებ. მსოფლიოს ყველა ქვეყნის უშიშროება უნდა უზრუნველყოფდეს ატომური იარაღის მარაგის ლიკვიდაციისა და იმ გზით, რომ აკრძალოთ მისი გამოყენება საყოველთაო და სრული განიარაღების საშუალებით.

მოხსენებაში ნათქვამია, რომ ხელშეკრულება ატომური იარაღის გამოცდის სრული აკრძალვის შესახებ აგრეთვე დაამრკოლებდა ატომური იარაღის გავრცელებასა და შეანელებდა გამალებულ ატომურ შეიარაღებას. მოხსენებაში დადებითად არის შეფასებული განიარაღების ისეთი ნაწილობრივი ღონისძიებანი, როგორიცაა, მაგალითად, ატომური იარაღისაგან თავისუფალი ზონების დაწესება, და არაატომური ქვეყნების უშიშროების გარანტიის ღონისძიებანი.

მაგრამ, ხაზგასმულია მოხსენებაში, შეიარაღების შეზღუდვის ღონისძიებანი თავისთავად ვერ აღკვეთენ ატომური კონფლიქტის საფრთხეს. ისინი უნდა მივიჩნიოთ მხოლოდ ღონისძიებებად, რომლებსაც მოაკვლევა ატომური შეიარაღების ფინის შემცირება და დაძაბულობის შენელება მსოფლიოში და საბოლოო ანგარიშით ატომური იარაღის ლიკვიდაცია. სანამ არის ატომური იარაღი, აღნიშნულია უ ტანის მოხსენებაში, ატომური ომის რისკი რჩება.

## პრეზიდენტ ჯონსონის განცხადება

**ვაშინგტონი, 23 ოქტომბერი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა აპირებს განაგრძოს ახლანდელი სამხედრო კურსი ვიეტნამში, მიუხედავად იმისა, რომ ბევრ ამერიკელს დიდად აწუხებს და არ სურს მისდიოს ამ პოლიტიკას. გამოვიდა რა დღეს კომერციულ საწარმოთა კონტორისა და ტექნიკურ მოსამსახურეთა საერთაშორისო ფედერაციის კონფერენციაზე, პრეზიდენტმა ჯონსონმა განაცხადა, რომ შეერთებული შტატები კვლავ იბრძოლებენ თავიანთი მიზნების განხორციელებისათვის ვიეტნამში. ამასთან მან გაიმეორა, თავისი წინანდელი მტკიცება, თითქოს ამერიკის შეერთებული შტატები იცავდეს სამხრეთ ვიეტნამს „აგრესიისაგან“.**

**იუნაიტედ პრეს ინტერნეშნლის სააგენტოს აზრით პრეზიდენტის ეს სიტყვა მთავრობის პასუხია ვიეტნამის კონფლიქტის ესკალაციის პოლიტიკის შეწყვეტის მოთხოვნაზე.**

## პ რ ო ტ ე ს ტ ი

**ნიუ-იორკი,** 23 ოქტომბერი (საკდესი). არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მუდმივმა წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ელაუნმ უშიშროების საბჭოს თავმჯდომარისადმი წერილში მტკიცე პროტესტი გამოთქვა ისრაელის ახალი აგრესიული აქტის გამო, რომელიც მიმართულია არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის წინააღმდეგ და აღმაფფოთებელი დარღვევაა უშიშროების საბჭოს რეზოლუციებისა ცეცხლის შეწყვეტის შესახებ.

წერილში აღნიშნულია, რომ 21 ოქტომბერს 17 საათსა და 30 წუთზე ადგილობრივი დროით არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ტერიტორიიდან წყლებში პორტ-საიდის რაიონში გამოჩნდა დიდი სისწრაფით მომავალი ისრაელის საესაკადრო ნაღმოსანი „ელატი“.

არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის სამხედრო-საზღვაო ძალები იძულებული იყვნენ განეხორციელებინათ თავდაცვის ღონისძიებანი. ორივე მხრიდან ცეცხლის დაშენის შედეგად ისრაელის საესკადრო ნაღმოსანი ჩაიძირა.

არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ხელისუფლებამ დაუყოვნებლივ აცნობეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეთვალყურეთა ჯგუფის მეთაურს ახლო აღმოსავლეთში გენერალ ბულს, რომ ისრაელმა აშკარად დაარღვია შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ.

არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ტერიტორიულ წყლებში თავისი აგრესიის ახალი აქტით ისრაელი კიდევ უფრო ამწვავებს დაძაბულობას ამ რაიონში.

არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მუდმივმა წარმომადგენელმა სახოვა გაავრცელა ეს წერილი როგორც უშიშროების საბჭოს დოკუმენტი.

# ტ ე რ ო რ ი მ ძ ვ ი ნ ვ ა რ ე ბ ს გ ვ ა ტ ე მ ა ლ ა ში

**ნიუ-იორკი.** 24 ოქტომბერი. (საკდესი). ტერორისტული დაჯგუფებანი კვლავ სიკვდილს თესავენ გვატემალაში. ათასამდე კაცი დაიღუპა მათი ხელით მომდინარე წლის იანვრიდან, იუწყება გაზეთი „მიამი ჰერალდის“ კორესპონდენტი, რომელიც იყო გვატემალაში. ბევრმა დატოვა გვატემალა, რათა თავი დაეღწია ტერორისათვის. „ასეთი საშინელი მდგომარეობა გვატემალაში არ ყოფილა ამ უკანასკნელი 10 წლის, და შესაძლოა 20 წლის მანძილზეც“, — უთხრა კორესპონდენტს გვატემალის თავლსაჩინო პოლიტიკოსმა მოღვაწემ, რომელიც სთხოვა არ დაესახელებინა მისი გვარი.

ტერორისტული დაჯგუფებანი შექმნეს რეაქციულმა წრეებმა „კომუნისტურ საფრთხეს თან“ ბრძოლის საბაბით. ისინი უსწორდებიან „შავ სიებში“ შეტანილ ყველა პროგრესულად განწყობილ ადამიანს.

„თეთრი ხელი“, „არმიის საიდუმლო ორგანიზაცია“, „გვატემალის ანტიკომუნისტური საბჭო“ — აი ზოგიერთი ამ ტერორისტული დაჯგუფების სახელწოდება, რომლებიც ამ ქვეყანაში მოქმედებენ.

ადგილობრივი პრესა, წერს „მიამი ჰერალდი“, არაფერს არ წერს მათი დანაშაულის შესახებ, რადგან ეშინია შურისძიებისა.

კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ „შავ სიებში“ ხშირად ხვდებიან ისეთი ადამიანები, რომლებსაც საერთო არა აქვთ რა პროგრესულ მოძრაობასთან — ვინც უყარს ამბობს მხარი დაუჭიროს ტერორისტებს, ან ისინი, რომელთა ქონება სურთ ხელში ჩაიგდონ ბანდიტებმა.

ტერორისტები, როგორც გაზეთი იუწყება, მოქმედებენ „პრეზიდენტ მენდესის უსიტყვო მოწონებით“. მხედრიონი ბანდიტებს ამარაგებს იარაღით და იყენებს მათ თავისი რეაქციული მიზნებისათვის.

გაზეთი აღნიშნავს, რომ რეაქციის თარეში საფრთხეს უქმნის გვატემალის ახლანდელი მთავრობის არსებობას.

## უსწორდებიან

**ვაშინგტონი, 24 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც ცნობილია, გასული კვირის დამლევს პენტაგონის შენობასთან გაიმართა მასობრივი ომის საწინააღმდეგო დემონსტრაცია. ახლა კი მზადდება გასამართლება ამ დემონსტრაციის მონაწილეებისა. პოლიციამ უკვე დააპატიმრა 650 კაცი, რომლებსაც გასამართლებენ.**

# რ ე პ რ ე ს ი ე ბ ი ე ს პ ა ნ ე თ ი ს ა ში

**პარიზი, 24 ოქტომბერი. (საკდესი).** ესპანეთის პოლიცია კვლავ აპატიმრებს მუშათა ხელმძღვანელებს და უნივერსიტეტების მასწავლებლებს და ცდილობს ჩაფუშოს თავიანთი უფლებებისათვის მშრომელთა ბრძოლის კვირეული, რომელიც მოაწყვეს „მუშათა კომისიებმა“ — საწარმოებში მუშათა წარმომადგენლობითმა ორგანიზაციებმა, რომლებიც აკრძალეს ფრანკისტულმა ხელისუფლებამ. როგორც საფრანგეთის გაზეთ „მონდის“ მადრიდელი სპეციალური კორესპონდენტი იუწყება, 21 ოქტომბერს ღამით დააპატიმრეს 100-მდე უნივერსიტეტების მასწავლებელი და მუშა, მათ შორის მადრიდის უნივერსიტეტის პროფესორი ხავიერ რუის დელ კასტელიო.

საზოგადოებრივი წესრიგის ტრიბუნალი კვლავ ასამართლებს პროფკავშირულ ხელმძღვანელებს. 20 ოქტომბერს ეიბარის (გიპუსკოის პროვინცია) „მუშათა კომისიის“ წევრებმა დიაკავეს ადგილი განსასჯელთა სკამზე. მეორე დღეს გაასამართლეს მუშათა პროფესიული კავშირის წევრები, რომლებსაც ბრალად დაედოთ, რომ „ცდილობდნენ შეექმნათ მშრომელთა მასობრივი დემოკრატიული პროფკავშირული გაერთიანება“.

# ს ა ბ ჭ ო თ ა შ ო რ ი ს ი ს ტ ა ტ ი ს ტ ი კ ა

## ამერესლრეგი ზსამ იუენეგენ

**ბანგი.** 24 ოქტომბერი. (საკდესი). ამერიკელმა აგრესორებმა სამხრეთ ვიეტნამში 20 სექტემბრიდან 7 ოქტომბრამდე ავიაცია გამოიყენეს არა მარტო დამომბეგისათვის, არამედ ადრეთვე ომისათვის, რომ ქიმიური მომწამვლელი ნივთიერებანი მოეფრქვიათ ბეენპოისა და ბაკის პროვინციათა ბევრ რაიონში.

ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო ინფორმებს სააგენტო „განთავისუფლებას“ და იუწყება, რომ ამ ხნის მანძილზე „დაკოტის“ ტიპის 7-დან 10-მდე ვიეტნამელი ავიაციის ყოველდღიურად ტოქსიკურ ქიმიკალიებს ფრქვევდა და ცრემლსადენი გაზით წამლავდა ბაკის პროვინციის სამ სოფელს. ასობით ადამიანი დაშავდა, მოისპო ათასობით ჰექტარი ბრინჯის პლანტაცია.

## პ ი ნ ო ჩ ე ტ ი ს ა ნ ა ტ ო ლ ი ი ს ა ნ ა ტ ო ლ ი ა

**ბანგი.** 24 ოქტომბერი. (საკდესი). ამერიკელმა აგრესორებმა სამხრეთ ვიეტნამში 20 სექტემბრიდან 7 ოქტომბრამდე ავიაცია გამოიყენეს არა მარტო დამომბეგისათვის, არამედ ადრეთვე ომისათვის, რომ ქიმიური მომწამვლელი ნივთიერებანი მოეფრქვიათ ბეენპოისა და ბაკის პროვინციათა ბევრ რაიონში.

ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო „განთავისუფლებას“ და იუწყება, რომ ამ ხნის მანძილზე „დაკოტის“ ტიპის 7-დან 10-მდე ვიეტნამელი ავიაციის ყოველდღიურად ტოქსიკურ ქიმიკალიებს ფრქვევდა და ცრემლსადენი გაზით წამლავდა ბაკის პროვინციის სამ სოფელს. ასობით ადამიანი დაშავდა, მოისპო ათასობით ჰექტარი ბრინჯის პლანტაცია.

# ტ ე ლ ე ვ ი ზ ი ა

**25 ოქტომბერი**

11.00 — კინონარკვევები, 11.30 — საბჭოთა კინოს ისტორიიდან — მხატვრული ფილმი „მეღორე ქალი და მწყემსი“, 13.15 — სატელევიზიო ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 13.30 — სატელევიზიო მრავალსერიიანი დოკუმენტური ფილმი „ნახევარი საუკუნის მატიანე 1948 წელი (გადმოცემა მოსკოვიდან). 17.55 — გადაცემათა პროგრამა, 18.00 — მოსწავლეთათვის ვიქტორინა ხ